# ალია

„მაგთიკომი“ იუბილარია — კომპანიამ ოპერირების 17 წელი იზეიმა

მაგთიკომი
MAGTICOM

ქვეყნის ეკონომიკაში შეტანილი უპრეცედენტო წვლილი, ქველმოქმედება, სრულყოფილი დაფარვის ზონა, 5 ბრენდი, 3 მილიონზე მეტი აბონენტი...

N139/3069/23 სექტემბერი 2014 წ PRESS ფასი 1 ლარი

ორშაბათი ქრონიკა | სამშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA .GE
გამოდის 1995 წლიდან

## ღარიბაშვილმა კარგად იცის, ვინ არის მის პარტიაში გამყიდველი და ვინ — მისი თანამოაზრე



რატომ დანიშნა პრემიერმა ზვიად ჯანყარაშვილი „ოცნების“ აღმასრულებელ მდივნად?



## რას საყვედურობს სოსო ჯაჭვლიანი თანამოაზრე მერაბ შათირიშვილს?





## საიდან ადვოკატ ხაჭაპურიძეს ციხის სკანდალური ჩანაწერები, რომელიც კვესიტაძემ „რუსთავი 2“-ით გაუშვა?

## რა აბსურდები აღმოაჩინა „ალიამ“ „იარაღის კანონის“ ცვლილებებში



# რატომ აწყობენ „ლგბტ“-ები აშშ-ს საელჩოსთან აქციას?

## მამა ბასილი მკვლელ „ნაციონალებს“ ასახელებს და მათ სასწრაფოდ დაპატიმრებას მოითხოვს



## მასწავლებლების კვალიფიკაციის დადგენის საკითხი შეიძლება კიდევ გადაიდოს





# რას საყვედურობს სოსო ჯაჭვლიანი თანამოაზრე მერაბ შათირიშვილს?

პარტია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, მოძრაობა „ახალი რეალობისთვის“ თავმჯდომარე, მერაბ შათირიშვილი, თავის შვიდდღიან, მშვიდობიან საპროტესტო მსვლელობას ქუთაისიდან 23 სექტემბერს, 17:00 საათზე მთავრობის სასახლესთან, რუსთაველის გამზირზე დაასრულებს. შათირიშვილი ფართომასშტაბიანი აქციებისთვის ემზადება.

შეხსენებისთვის: მერაბ შათირიშვილის ინიციატივით, 2011 წელს, ქუთაისიდან თბილისამდე, კერძოდ, გელათიდან სამებამდე, ამჟამად საპარლამენტო უმრავლესობის წევრ სოსო ჯაჭვლიანთან და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ ლუკა კურტანიძესთან ერთად, ერთხელ უკვე მოეწყო მსვლელობა ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით. ამჯერად, შათირიშვილმა, ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნით გამართა მსვლელობა და იგივე გზა ყოფილი თანაგუნდელების გარეშე გამოიარა.

რას ფიქრობს მერაბ შათირიშვილის ყოფილი თანამოაზრე ჯაჭვლიანი აღნიშნულ მსვლელობაზე (ამ საკითხზე ლუკა კურტანიძის მოსაზრება „ალიამ“ წინა კვირაში უკვე გაგაცნოთ. – დ.ლ.)? სოსო ჯაჭვლიანი საქართველოში არ იმყოფებოდა და მასთან საუბარი სწორედ ახლა, მსვლელობის კულმინაციის დროს შევძელით:

– ვილნიუსში ვიყავი, მსოფლიო ჩემპიონატი იყო მკლავჭიდში. 14 მედალი მოვიპოვეთ. სულ 54 ქვეყანა მონაწილეობდა და ყველაზე მძიმე წონაში მოვიგეთ მედლები. ასე რომ, ყველაზე ძლიერი მკლავები საქართველოშია! ვილნიუსის სამიტზე საქართველო რამდენჯერ ახსენეს, პროცესები აქვს და როგორ მოხერხდება ეს, ამდენი არ ვიცი. თუ დაინიშნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ძალიან კარგი იქნება.

**— თუ ასე ფიქრობთ, მაშინ, რატომ ერთხელ მაინც არ გამოეხმაურეთ ამ მოძრაობას რაიმე ფორმით?**

– მე ვარ „ქართული ოცნების“ წევრი. როგორ წარმოგიდგენიათ მე, მმართველი პარტიის წევრი და პარლამენტის წევრი, გვერდით უნდა დავუდგე მერაბს და მსვლელობაში ჩავერთო?

**— გასაგებია, ბატონო სოსო, რომ საპარლამენტო უმრავლესობას წარმოადგენთ, მაგრამ ხომ არსებობს მორალური მხარე, ადამიანური? არ იყო ის მარტივი გზა, რაც თქვენ ერთად გამოიარეთ...**

– ამაზე მეტი რა უნდა გამეკეთებინა ამ ეტაპზე, სანამ მერაბი იტყოდა, მანამდე ვთქვი მე, რომ საჭიროა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

**— ბატონო სოსო, რა განწყობაა პარლამენტში ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით?!**

– რა განწყობაა ამ ყველაფრის თაობაზე, ჯერ არ ვიცი, არ ვიყავი საქართველოში, როგორც გითხარით. მაგრამ ახლა აუცილებლად მოვისმენ, ვინ რას ფიქრობს ვადამდელ არ უნდა. მერე, ამ ადამიანებისთვის თვალებში ჩახედვა უნდა შეგეძლოს. მე კიდევ, ძალიან თავისუფლად შემიძლია თვალებში ჩავხედო მერაბ შათირიშვილს.

**— თქვენ მას არ გამოეხმაურეთ არც ერთი ფორმით. როგორ გგონიათ, ხომ არ გაგინაწყენდებათ ის ამის გამო?**

– ჯერ ერთი, საიდან უნდა გამოვხმაურებოდი?

**— საამისოდ, უამრავ შესაძლებლობას იძლევა თანამედროვე ტექნოლოგიები. თუნდაც განცხადება გაგეკეთებინათ, სხვა თუ არაფერი გაგემხნევებინათ, როგორც ყოფილი თანამოაზრე, როცა ერთად გამოიარეთ რთული გზა იყო და ეს თქვენზე კარგად არავინ იცის. ელემენტარული სოლიდარობა გამოგეხატათ...**

– მერაბ შათირიშვილი ამ მოძრაობას რომ იწყებდა, მაშინ უნდა მოსულიყო და დამლაპარაკებოდა, თუ თანამოაზრედ მიმიჩნევდა, ჩემი აზრიც გაეგო. ასე არ ხდება, ცალმხრივად. მან ხომ გამოაცხადა, არც ერთი პოლიტიკოსი არ უნდა მოვიდეს ჩემთანო?

**— პარტიებიო, დააკონკრეტა, თუმცა დასძინა, რომ შეუძლიათ როგორც მოქალაქეები, ისე ჩაერთონ მოძრაობაშიო...**

– არა, პოლიტიკოსები არ მოვიდნენ, მაგრამ ხალხი გამომიგზავნონო. ეგ როგორ? მე არ მაინტერესებს, მაგრამ მე, რამდენიმე დღის წინ, 14-ჯერ დავამღერებინე საქართველოს ეროვნული ჰიმნი და ეს ფაქტი შათირიშვილის მსვლელობაზე ნაკლები არ არის.

**— ბატონო სოსო, შვიდი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც მერაბ შათირიშვილი ფეხით მსვლელობას მართავს. თქვენ ერთხელაც არ გამოხმაურებიხართ მის ასეთ აქციას. იქნებ, ახლა მაინც გვითხრათ, რას ფიქრობთ შათირიშვილის მიერ დაწყებულ მოძრაობასთან დაკავშირებით?**

– შათირიშვილის მსვლელობის შესახებ, რა თქმა უნდა, მეც გავიგე. ადამიანებს ჩვენ-ჩვენი აზრი გვაქვს, მერაბს თავისი აზრი აქვს, მე – ჩემი. სხვათა შორის, ძალიან კარგია, როცა რაიმეს თქმა გინდა და ამის გამოხატვის საშუალება გაქვს. „ნაციონალები“ რომ 40%-ით არიან დაფიქსირებული პარლამენტში, ეს რომ არ შეიძლება, ამაზე ერთ-ერთი პირველი მე ვაცხადებდი. ამ მოძრაობაზე ჩემი აზრი ასეთია – მე მინდა, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს, მაგრამ ამას თავისი არჩევნებზე და თუნდაც, შათირიშვილის მსვლელობაზე და თუ მკითხავთ, მე აუცილებლად გეტყვით განწყობებზე.

**— თბილისის პარლამენტის შენობასთან, ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით აქციები იწყება. იმ შემთხვევაში თუ ეს აქციები მასშტაბური იქნება, რას იზამთ, შეუერთდებით აქციას?**

– საერთოდ, ხალხის აზრი უნდა გაითვალისწინო, იმიტომ რომ ხალხის რჩეული ხარ, ხალხმა აგირჩია. ამიტომ შევხედავ, როგორ განვითარდება მოვლენები და ისე ვიმოქმედებ, როგორც ხალხს სურს. მე პარლამენტს გამოკერებული კი არ ვარ?!

**— მხოლოდ იმის გამო ხომ არ შეიკავებთ თავს აქციებში ჩართვისგან, უმრავლესობის დეპუტატი რომ ხართ?**

– მე სვანი, ვარ პირველ რიგში! რა ჩინოვნიკობაზეა საუბარი, ჯერ ადამიანები ვართ, მერე სხვა დანარჩენი! ამიტომაც გავითვალისწინებ ყოველთვის ადამიანების აზრს. ადამიანის შეგინებას და ცუდის გაკეთებას არაფერი მესმის ეს როგორ უნდა მოხდეს. როგორ უნდა მოვიქცე, ანუ მე ზურგსუკან რაღაცების კეთება დავიწყო? ეგრე არა, მოდი და ვილაპარაკოთ პირდაპირ! შენ ხომ ამას ხალხისთვის აკეთებ?

**— ბატონო სოსო, თქვენ რომ არ საუბრობთ ამ საკითხზე, საზოგადოებაში ჩნდება მოსაზრება, რომ ამდენი წელი თანამდებობისთვის იბრძოდით, ისევე როგორც ლუკა კურტანიძე და ახლა აღარ გაინტერესებთ ამ მოძრაობის საკითხი...**

– არანაირად! უსაფუძვლოა! უბრალოდ, თუ შათირიშვილი ამას აპირებდა, მაშინ, პირველ რიგში ჩემთან და ლუკა კურტანიძესთან უნდა მოსულიყო. როცა აზრს ჩამოვაყალიბებდით, მერე სხვა იქნებოდა. უნდა დაგვლაპარაკებოდა, მე ასე მესმის. 2011 წელს, მისი იდეით რომ მოვაწყვეთ მსვლელობა გელათიდან სამებამდე, მაშინ ხომ თვითონ მოვიდა ჩვენთან?!

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 23 წლის ბიჭი მეხუთე სართულიდან გადმოვარდა

თბილისში მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევას ახალგაზრდა მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა. შემთხვევა გვიან ღამით შარტავას ქუჩაზე მოხდა. 23 წლის ბ.კ. ქორწილიდან დაბრუნდა, როდესაც აღმოაჩინა, რომ სახლის გასაღები თან არ ჰქონდა.

მან საკუთარ საცხოვრებელ ბინაში შესვლა ე.წ. „სუშილკიდან“ სცადა, თუმცა წონასწორობა ვერ შეინარჩუნა და მეხუთე სართულიდან გადმოვარდა. არსებული ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა. შემთხვევის შედეგად ის ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

## „ციხე მთლიანად ადმინისტრაციის მიერ კონტროლდება“



სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილის ბესო დევდარიანის განცხადებით, „სამინისტრო აკონტროლებს სიტუაციას დაწესებულებებში და არანაირ „ობშიაკებზე“ და „მაყურებლის“ ინსტიტუტზე საუბარი არ არის. ციხე თავიდან ბოლომდე ადმინისტრაციის მიერ კონტროლდება“, – განაცხადა დევდარიანმა. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## ქვეყნები, სადაც პერსონალური მონაცემების გადაცემა უსაფრთხოა



პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა თამარ ქალდანმა პირველი ნორმატიული აქტი გამოსცა, რომელშიც დასახელებულია ის 47 ქვეყანა, სადაც პერსონალური მონაცემების გადაცემა უსაფრთხოა. ინსპექტორმა სიის შედგენის დროს იხელმძღვანელა სხვადასხვა კრიტერიუმით, მათ შორის, შეაფასა პერსონალურ მონაცემთა დაცვის გარანტიები და ქვეყნებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს საქმიანობა შეისწავლა. გამოქვეყნებული სიის მიღმა დარჩენილ ქვეყნებში პერსონალურ მონაცემთა გადაცემისთვის კვლავ აუცილებელია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის ნებართვა

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხა ასეთია:

1. ავსტრალიის თანამეგობრობა; 2. ავსტრიის რესპუბლიკა; 3. ალბანეთის რესპუბლიკა; 4. ანდორის სამთავრო; 5. არგენტინის რესპუბლიკა; 6. ურუგვაის აღმოსავლური რესპუბლიკა; 7. ახალი ზელანდია; 8. ბელგიის სამეფო; 9. ბოსნია და ჰერცოგოვინა; 10. ბულგარეთის რესპუბლიკა; 11. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო; 12. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა; 13. დანიის სამეფო; 14. ესპანეთის სამეფო; 15. ესტონეთის რესპუბლიკა; 16. ირლანდია; 17. ისლანდიის რესპუბლიკა; 18. ისრაელის სახელმწიფო; 19. იტალიის რესპუბლიკა; 20. კანადა; 21. კვიპროსის რესპუბლიკა; 22. ლატვიის რესპუბლიკა; 23. ლიტვის რესპუბლიკა; 24. ლიხტენშტეინის სამთავრო; 25. ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო; 26. მალტის რესპუბლიკა; 27. მოლდოვას რესპუბლიკა; 28. მონაკოს სამთავრო; 29. მონტენეგროს რესპუბლიკა; 30. ნიდერლანდების სამეფო; 31. ნორვეგიის სამეფო; 32. პოლონეთის რესპუბლიკა; 33. პორტუგალიის რესპუბლიკა; 34. რუმინეთი; 35. საბერძნეთის რესპუბლიკა; 36. საფრანგეთის რესპუბლიკა; 37. სერბეთის რესპუბლიკა; 38. სლოვაკეთის რესპუბლიკა; 39. სლოვენიის რესპუბლიკა; 40. უკრაინა; 41. უნგრეთი; 42. ფინეთის რესპუბლიკა; 43. შვედეთის სამეფო; 44. შვეიცარიის კონფედერაცია; 45. ჩეხეთის რესპუბლიკა; 46. ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია; 47. ხორვატიის რესპუბლიკა. (news.ge)



# ღარიბაშვილმა კარგად იცის, ვინ არის მის პარტიაში გამყიდველი და ვინ — მისი თანამოაზრე

## რატომ დანიშნა პრემიერმა ზვიად ჯანყარაშვილი „ოცნების" აღმასრულებელ მდივნად?

ამბოხიდან ამბოხამდე სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა დაწყებულია. „ნაციონალური მოძრაობის" გეგმის მიხედვით, „თბილისური მაიდანის" სახელით დაწყებული ბრძოლა, სახელმწიფო გადატრიალებით უნდა დასრულდეს. გამოყოფილია მილიარდი დოლარი რამდენიმე „ნაციონალური" არასამთავრობო ორგანიზაციისთვის და „ჯოჯოხეთის მომწყობი" მედიასაშუალებებისთვის.

რატომღაც, აღმოჩნდა, რომ ის ტელევიზიებიც კი, სადაც 9 წლის მანძილზე „ნაციონალური მოძრაობის" წევრები არა თუ მისვლას არ კადრულობდნენ, არამედ ტელეჟურნალისტებს იარაღის ძალით მიწაზე ახოხიალებდნენ, დღეს მათ სასურველ რესპონდენტებად იქცნენ, მაგრამ რა ქნას სააკაშვილისგან აოხრებულმა ტელევიზიამ, თუკი დამნაშავე რეჟიმს დღეს, ოპოზიცია ჰქვია?

თუმცა, ერთი რამ ცხადია, „ნაციონალებს" ტელევიზიებით შტურმის პირველი ეტაპი დაწყებული აქვთ, ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ი კვლავ ფლაგმანია. ამ არხის გენერალურმა დირექტორმა და ფაქტების გაყალბების დიდოსტატმა ნიკა გვარამიამ „ქართულ ოცნებას" ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ „ჯოჯოხეთის მოწყობა" დაუანონსა. ამ საქმეში გვარამია მარტო არ არის, „ნაცმოძრაობის" მთავარი იდეოლოგი გიგა ბოკერია და მისი მხიარული მეუღლე, თამარ ჩერგოლეიშვილი 24-საათიან რეჟიმში, ჯოჯოხეთის სამზადისში არიან, მათი მიზანმიმართული და კარგად გათვლილი ნაბიჯები ემსახურება არა ჟურნალისტიკას, ხელისუფლების მხილებასა და რეალურ კრიტიკას, არამედ ხელისუფლების დისკრედიტაციას, სამართალდამცავების კომპრომეტაციას და ხელისუფლების შიგნით ბზარების შეტანას.

„ეროვნულების" ლიდერი, სანდრო ბრეგაძე „ალიასთან" საუბარში აცხადებს: „ეს პრელუდია, რასაც „ნაციონალური" ტელევიზიების ეკრანებიდან გვაჩვენებენ, საჭიროა იმ პიკისთვის, რომელსაც „თბილისური მაიდანი" უნდა დაერქვას და სახელმწიფო გადატრიალებით დასრულდეს. სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ 20 სექტემბერს, „რუსთავი 2"-ის ზონდერგადაცემა „განსხვავებულ აქცენტებში" გასული ე.წ. კანონიერი ქურდებისა და მაყურებლების საუბრების ნაწილი არის სააკაშვილის მმართველობის დროს ჩაწერილი (ეტყობა, შსს-ს ყოფილმა მაღალჩინოსანმა უტიაშვილმა შეინახა და თავის ცოლს, ეკა კვესიტაძეს გადასცა), ხოლო ნაწილი დამონტაჟებული ფალსიფიკაციაა. ყოველივე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ასეთი ტიპის პროვოკაციები და ფალსიფიკაციები კიდევ მრავალი იქნება!!! „ვარდისფერი საფრთხე" საბოლოოდ უნდა განეიტრალდეს, ქვეყნის მტრების ადგილი არც პარლამენტშია და არც პოლიტიკურ ასპარეზზე. ამ რეალობას ეფექტური ადეკვატური პასუხი სჭირდება. საფრთხე ჩანასახშივე უნდა მოისპოს!"

სააკაშვილის მართული ტელევიზიები, დიდი ხანია ნადირობენ კომპრომატებზე, თუმცა პრაქტიკულად ვერ მოხერხდა აქამდე „ციხის სკანდალური" კადრების გადაფარვა, მაგრამ ჯოჯოხეთის მანქანა ჩართულია და როგორც კარგად ინფორმირებული წყარო გვატყობინებს, სააკაშვილის დანაშაულებრივი პოლიტიკის ანატომიას მალე ჩაანაცვლებს ამ ხელისუფლების ანატომია.

**„ყოველივე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ასეთი ტიპის პროვოკაციები და ფალსიფიკაციები კიდევ მრავალი იქნება!!! „ვარდისფერი საფრთხე" საბოლოოდ უნდა განეიტრალდეს, ქვეყნის მტრების ადგილი არც პარლამენტშია და არც პოლიტიკურ ასპარეზზე. ამ რეალობას ეფექტური ადეკვატური პასუხი სჭირდება. საფრთხე ჩანასახშივე უნდა მოისპოს!"**

ის რომ „რუსთავი 2"-ის დე ფაქტო პატრონი სააკაშვილია და მასთან შეუთანხმებლად ჟურნალისტი კი არა, დამლაგებელიც კი ვერ იწყებს მუშაობას, ეს უკვე წაკითხული წიგნია და მიშას ხელწერა ეკრანს შეუიარაღებელი თვალითაც ეტყობა, „რუსთავი 2" სააკაშვილის კვალდაკვალ დადის ნიუ-იორკში, კიევში თუ მის პოლიტიკურ საპირფარეშოში. ისიც გასაგებია, ვის რა ვალდებულება აქვს „ნაცელიტასთან", თუმცა ძალიან გაუგებარია ზოგიერთი ჟურნალისტის მიშას არხზე გადასვლა, ვინც წლების მანძილზე სწორედ მისი მხილებით იყო დაკავებული და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მიშას და მისი რეჟიმის პოლიტიკურ სამარეს ნიჩაბი პირველმა ჩაარტყა, როცა 2006 წელს გირგვლიანის მკვლელობის სკანდალური ფაქტი ღია და საჯარო გახადა. „ანატომიის" ავტორისა და წამყვანის „რუსთავი 2"-ზე გადაბარგება ისეთივე შოკისმომგვრელი აღმოჩნ-

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*



**ის, რომ ხელისუფლებაში პრობლემებია და პრეზიდენტი მარგველაშვილი გუნდური თამაშიდან ამოვარდნილია, ფაქტია. „ნაციონალების" ოცნებას ეს პროცესი წყალს ასხამს და ამაზეც ფაქტები მეტყველებს, შემთხვევითი არაა, როცა სააკაშვილი ალასანია-მარგველაშვილს ამოეფარა და სახელმწიფო ინსტიტუტებს „იცავს", მაშინ, როცა სახელმწიფო — ეს თვითონ იყო და ფეხქვეშ თელავდა ყველასა და ყველაფერს**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

### ყიფიანი ჭიდაობის ფედერაციაში შექმნილ ვითარებას ეხმაურება



სპორტის მინისტრი ლევან ყიფიანი ჭიდაობის ფედერაციაში შექმნილ ვითარებას გამოეხმაურა. მისი თქმით, ამ ეტაპზე ვნებათაღელვა უნდა ჩაცხრეს და სიტუაცია სამართლებრივი ჩარჩოებიდან არ უნდა გამოვიდეს.

„რთული ვითარება შეიქმნა, მაგრამ ჩვენ ვკისრულობთ მედიატორის როლს. გადაწყვეტილება მივიღეთ, რომ ნოემბრამდე სამეთვალყურეო საბჭო შეიკრიბება და პასუხისმგებლობის გადანაწილება ფედერაციასა და საბჭოს შორის მოხდება. ამ ეტაპზე ემოციები უნდა დაცხრეს, ჩვენ არ უნდა გამოვიდეთ სამართლებრივი ჩარჩოებიდან. კონსენსუსი უნდა იქნეს მიღწეული. ჩვენ მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ყველა მხარესთან", – განაცხადა ლევან ყიფიანმა.

ოლიმპიური ჩემპიონის, რომან რურუას განცხადებით, ლუკა კურტანიძე თანამდებობაზე რჩება, თანამდებობაზე რჩებიან ის მწვრთნელებიც, რომელთა განთავისუფლებასაც ლუკა კურტანიძე აპირებდა.

„ერთი თვის განმავლობაში შესწავლილი უნდა იქნას ყველა ის საკითხი, რომელიც ჭიდაობის ფედერაციას აწუხებს. პრეზიდიუმის სხდომაზე ეს საკითხები განიხილება და სამეურვეო საბჭო გადაწყვეტილებას მიიღებს. ამის შემდეგ კი მივიღებთ გადაწყვეტილებას, ვინ გავუშვათ და ვინ არა", – განაცხადა რურუამ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### „ნაცმოძრაობა" პენიტენციარულ სისტემაში გამოძიების დაწყებას ითხოვს




„ნაციონალური მოძრაობა" პენიტენციარულ სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე გამოძიების დაწყებას მოითხოვს. ირმა ნადირაშვილის განცხადებით:

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მოითხოვს: დაიწყოს გამოძიება პენიტენციარულ სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე და უშუალოდ სოზარ სუბარის როლზე. ყველა პირს, ვინც შესაძლოა ჩართული იყოს აღნიშნულ დანაშაულში გამოძიების პერიოდში შეუჩერდეს უფლებამოსილება. შინაგან საქმეთა მინისტრი გამოცხადდეს საქართველოს პარლამენტში შექმნილ სიტუაციაზე პასუხების გასაცემად", – განაცხადა ნადირაშვილმა.

„იმ ჩანაწერებიდან, რომელიც გაავრცელა ერთ-ერთმა ტელეარხმა, ირკვევა, რომ კრიმინალები მთავარ დასაყრდენად და იდეოლოგად მიიჩნევენ ბიძინა ივანიშვილს. ეს ადამიანი, სოლოლაკის შუშის სასახლიდან სწორედ ქურდული ტრადიციების სრული დაცვით მართავს სახელმწიფოს. არ უჭირავს ოფიციალური თანამდებობა, ქურდული გარჩევებითაა დაკავებული პრეზიდენტთან და საკუთარ მთავრობასთან. საზოგადოებას კი მოუწოდებს, გაგებით მოეკიდოს მკვლელობებს, ყაჩაღობებს, ძარცვა-დაუთოებას. ციხეებში კრიმინალური ავტორიტეტებისათვის კონტროლის გადაცემა იწვევს ძალადობის ესკალაციას, ამის დასტურია გასულ კვირას საეჭვო გარემოებებში 3 პატიმრის გარდაცვალება. ციხის გარეთ კრიმინალურ ჯგუფებთან გარიგებები, გახსენებთ „რემენას", ლავასოლლის მაგალითებს, პროკურორის მანქანის დაწვას, ნამორაძის სასამართლო დარბაზიდან განთავისუფლება იწვევს დანაშაულის ზრდას, ძალადობას, რეკეტს, ქუჩის გარჩევებს, დაშინებებს. პოლიციის ინსტიტუტის დაკნინებას და ჩამოშლას. ეს ყველაფერი პირდაპირ აისახება საქართველოს ყველა მოქალაქის ცხოვრებაზე, ჩვენს უსაფრთხოებაზე. უუნარო პრემიერ-მინისტრი, უსუსური და ქვეყნის სასაცილოდ ქცეული შინაგან საქმეთა მინისტრი 90-იანი წლების კადრებით და რეიდებით ცდილობენ კრიმინალთან ბრძოლის იმიტაციას. პრობლემის დამალვა და უგულებელყოფა, სტატისტიკის გაყალბება ამ მთავრობის საფირმო ნიშნად იქცა. იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აღმოეფხვრათ ციხეებში არსებული პრობლემები და შეექმნათ ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტური მექანიზმი, მივიღეთ მეორე უკიდურესობა. მთავრობა წავიდა გარიგებაზე კრიმინალურ სამყაროსთან და ციხეებში კონტროლი მთლიანად გადააბარა ქურდებს", – აცხადებს ნადირაშვილი. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

და ჟურნალისტურ წრეებში, როგორც მისი სიუჟეტი გირგვლიანზე, საიდანაც მთელმა მსოფლიომ გაიგო, რომ გირგვლიანი მერაბიშვილის უწყების თანამშრომლებმა მოკლეს. სააკაშვილმა მის წინააღმდეგ მომართული იარაღი ხელში ჩაიგდო და უკვე გასაგებია, რისთვის გამოიყენებს ის ამ „იარაღს“...

ეშმაკთან წილი ნაყარია და ხელისუფლებაზე სისტემური დარტყმები დაწყებული! და მაინც, ვინ იქნება მთავარი სამიზნე? მთავარი სამიზნე ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილია. სააკაშვილისა და მისი მკვლელი რეჟიმის დაუძინებელი მტერი უნდა განეიტრალდეს, ასეთია დავალება. ჩვენი ინფორმაციით, იგეგმება ფართომასშტაბიანი იერიშის მიტანა ღარიბაშვილზე, რომელსაც სააკაშვილის ტელევიზიით მიეძღვნება გადაცემათა ციკლი, რაც პირდაპირ პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად, თუმცა რამდენად მიაღწევენ მიზანს ღარიბაშვილის მტრები, ეს დამოკიდებულია იმაზე, რა პოლიტიკურ კომბინაციებს აპირებს პრემიერი.

ის, რომ ხელისუფლებაში პრობლემებია და პრეზიდენტი მარგველაშვილი გუნდური თამაშიდან ამოვარდნილია, ეს ფაქტია. „ნაციონალების“ ოცნებას, ეს პროცესი წყალს ასხამს და ამაზე ფაქტებიც მეტყველებს, შემთხვევითი არაა, როცა სააკაშვილი ალასანია-მარგველაშვილს ამოეფარა და სახელმწიფო ინსტიტუტებს „იცავს“, მაშინ, როცა სახელმწიფო – ეს თვითონ იყო და ფეხქვეშ თელავდა ყველასა და ყველაფერს. არც ისაა შემთხვევითი, როცა „ნაციონალები“ „დაჩაგრულ“ პრეზიდენტს იცავენ, როგორც სახელმწიფოს სიმბოლოს და თავს ესხმიან პრემიერ-მინისტრს, როგორც მთავრობის ხელმძღვანელს. მეტიც, პრეზიდენტის მხარდამჭერის პარალელურად, გავრცელებული ინფორმაციით, „ნაციონალური“ ტელევიზიებით ხდება შეთავაზება, რომ „რუსთავი 2“-ზე მარგველაშვილის ქალიშვილმა გასართობი გადაცემა ჩაიბაროს, ხოლო პრეზიდენტის მეუღლე „იქს ფაქტორის“ ჟიურის წევრი გახდეს. ამავე დროს, ამავე არხზე პრემიერ-მინისტრისა და მისი გარემოცვის დისკრედიტაციის მიზნით გადაცემების მომზადება კი ნიშნავს, „ნაციონალური მოძრაობის“ იგივე გზის დაანონსებას, რაც ჩვენ უკვე ვნახეთ 2003 წელს მაშინ, როცა შევარდნაძის ხელისუფლების შიგნით არსებულმა პოლიტიკურმა ძალებმა „ვარდების რევოლუცია“ მოაწყვეს. მარგველაშვილის სახით სწორედ ეს საფრთხე დგას ქვეყანაში, მაგრამ ყველაფერი მაინც ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკურ მარიფათზეა დამოკიდებული. კოალიცია „ქართული ოცნების“ დინამიკა, რომელიც ეკლექტურია და მათი ნდობა პოლიტიკური ხარაკირის გაკეთებას ნიშნავს (ეს ქართული პოლიტიკის ანიბანია), მიგვანიშნებს, რომ კოალიციაში შემავალი რამდენიმე სუბიექტი დამოუკიდებელი თამაშის დასაწყებად ემზადება.



ზვიად ჯანყარაშვილი ახალ ამპლუაში ბევრი ჩასაფრებულის სამიზნე ხდება, განსაკუთრებით კი მათი, ვისაც პარტია „ქართული ოცნების“ სამკერდე ნიშანი ამშვენებს და ზურგს უკან „ქართულ ოცნებას“ სამარეს უთხრის, კონკურენტ ბანაკში ადგილს იზომავს და გადასახტომად ემზადება. მაინც ფრთხილად იყავით, ორსახოვანო იანუსებო, ფეხი არ აგიცდეთ და თქვენივე ხელით გათხრილ სამარეში არ აღმოჩნდეთ!

დიდი ხანია არსებობს მოლოდინი, რომ პრემიერი, რომელიც ამავდროულად „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეა, რეორგანიზებას მოახდენდა და გაძლიერდებოდა. რეორგანიზება დაიწყო კიდეც, ღარიბაშვილს გადაწყვეტილი აქვს, გუნდი თანამოაზრეებით დააკომპლექტოს, ერთ მუშტად შეკრას, გააძლიეროს და ერთი იდეოლოგიის გარშემო გააერთიანოს. ასეთ კომბინაციაში კი ბევრი, ვინც დღეს, „ქართული ოცნების“ ნიღაბს არის ამოფარებული, ამ გუნდში ვერ აღმოჩნდება, ღარიბაშვილმა კარგად იცის, ვინ არის მის პარტიაში გამყიდველი და ვინ მისი თანამოაზრე. მურმან დუმბაძე არ იქნება ბოლო, ვისაც პარტიიდან გარიცხავენ, ამ პარტიის სახელით პარლამენტში სხედან დეპუტატები, ვინც „ქართული ოცნების“ ოპოზიციაა და არა გუნდის წევრი. თავის დროზე, თუკი ვინმე პარტიის პოლიტსაბჭოში არ მოხვდა, საკუთარ თავში ჩაიხედოს და მიხვდებიან, რომ მათი თეთრი კბილების მიღმა, შავი ზრახვები იმალება. პარტია რომ გასაწმენდია ორსახოვანი იანუსებისგან, ეს ფაქტია, მაგრამ ვის მისცემს ღარიბაშვილი ლეგიტიმაციას, რომ პარტიის რეორგანიზაცია მოახდინოს და ფულზე შეყვარებულები ქვეყანაზე შეყვარებულებით ჩაანაცვლოს? ფაქტია, რომ დიდი საორგანიზაციო სამუშაოებია ჩასატარებელი, როგორც პარტიის შიგნით, ასევე რეგიონებში.



**ღარიბაშვილს გადაწყვეტილი აქვს, გუნდი თანამოაზრეებით დააკომპლექტოს, ერთ მუშტად შეკრას, გააძლიეროს და ერთი იდეოლოგიის გარშემო გააერთიანოს. ასეთ კომბინაციაში კი ბევრი, ვინც დღეს, „ქართული ოცნების“ ნიღაბს არის ამოფარებული, ამ გუნდში ვერ აღმოჩნდება, ღარიბაშვილმა კარგად იცის, ვინ არის მის პარტიაში გამყიდველი და ვინ — მისი თანამოაზრე**

„ალიას“ ინფორმაციით, ადამიანი, ვისაც ღარიბაშვილი ნდობას გამოუცხადებს ამ რთულ საქმეში, იქნება ზვიად ჯანყარაშვილი, თუმცა მის კანდიდატურას გუნდის შიგნით რამდენიმე პოლიტიკური ფიგურა ეწინააღმდეგება, რადგან პრემიერის ახლო ნათესავის ზვიად ჯანყარაშვილის შემოყვანით, მათი პოლიტიკური სარბიელი საბოლოოდ იკეტება და მათ ამბიციებსაც წერტილი ესმება.

ამიტომაც ღარიბაშვილის ოპონენტების მთელი ძალისხმევა გადასული იყო იქითკენ, რომ ჩაეგდოთ ჯანყარაშვილის კანდიდატურა. ჯანყარაშვილი, რომელიც პარტიის აღმასრულებელი მდივანი გახდა, აქტიურად იყო ჩაბმული პარტიის მშენებლობაში და 2012 წლის არჩევნებში. ისიც კარგად იციან, რომ ჯანყარაშვილს ვერაფერს გამოაპარებენ, ვერ მოისყიდიან და ის ღარიბაშვილმა სწორედ ერთგულების ნიშნით შეარჩია. „დროსთან“ მოთამაშეებმა შედეგები ვერ დაუდეს, არადა პრემიერი პარტიის შიგნით კონკრეტული შედეგების დადებას ითხოვს. ამ გადაწყვეტილების გამო პრემიერი და მისი ნათესავი ზვიად ჯანყარაშვილი კიდევ ერთხელ აღმოჩნდებიან „ნაციონალური“ ტელევიზიების სამიზნე. შეგახსენებთ, რომ ზვიად ჯანყარაშვილს, შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის თანამდებობა ეკავა, ის ღარიბაშვილის სიმამრის, თამაზ თამაზაშვილის დისშვილია. ჯანყარაშვილის ამ თანამდებობაზე დანიშვნას „ნაციონალების“ მხრიდან დაუსრულებელი კრიტიკა მოჰყვა, რომ ადგილი ჰქონდა ნეპოტიზმის ნიშნებს, რაზეც პრემიერმა განმარტა:

„რაც შეეხება ნეპოტიზმს... მინდა, რომ ამ თემაზე კიდევ ერთხელ გავაკეთო განმარტება და დავასრულო სპეკულაციები. სამწუხაროა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ამ აბსურდულ ბრალდებებს იმეორებენ სხვადასხვა ტელევიზიები და მედიასაშუალებები. ყველაზე მთავარი „ბრალდება“, რაც ჩემი მისამართით ისმოდა, იყო ის, რომ შსს-ს გენინსპექციის უფროსი იყო ჩემი მეუღლის ნათესავი. მე ეს თავიდანვე ვთქვი, როდესაც მინისტრად დავინიშნე, რომ ეს ადამიანი არის ჩემი ნათესავი, მაგრამ იქვე განვმარტე, რომ ის არ დამინიშნავს ნათესაური ნიშნით, არამედ შევარჩიე, როგორც პროფესიონალი, როგორც დასაყრდენი ძალა. მინდა მოსახლეობას განვუმარტო, მე ძალიან რთულ პერიოდში მომიწია მინისტრობა. რეალურად მარტო მივედი შს სამინისტროში. მე მჭირდებოდა ადამიანი, რომელსაც შიგნით დავეყრდნობოდი. ჩვენ ერთად და კიდევ რამდენიმე ადამიანმა გადავატრიალეთ, 180 გრადუსით შევცვალეთ შს სამინისტრო. ის პატიოსნად და ღირსეულად ემსახურა თავის საქმეს. გააკეთა, დამეხმარა, დაიხურა ქუდი კაცმა და წავიდა. რა არის ამაში გაუგებარი და მიულებელი. რომელიმე ქვეყანა დამისახელეთ, სადაც ასეთი რამ არის დასჯადი და სკანდალის თემა“.

ზვიად ჯანყარაშვილი შს სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსად 2012 წლის ნოემბერში დაინიშნა. 2014 წლის 15 აპრილს მან თანამდებობა დატოვა. „ქვეყნის პრემიერ-მინისტრთან ჩემი ნათესაობის თემაზე ამ ნაბიჯით მინდა დასრულო სპეკულაციები“, – ეს იყო მისი ბოლო განცხადება, რითაც ჯანყარაშვილის თემა დაიხურა, თუმცა დროებით. ზვიად ჯანყარაშვილი ახალ ამპლუაში ბევრი ჩასაფრებულის სამიზნე ხდება, განსაკუთრებით კი მათი, ვისაც პარტია „ქართული ოცნების“ სამკერდე ნიშანი ამშვენებს და ზურგს უკან „ქართულ ოცნებას“ სამარეს უთხრის, კონკურენტ ბანაკში ადგილს იზომავს და გადასახტომად ემზადება. მაინც ფრთხილად იყავით, ორსახოვანო იანუსებო, ფეხი არ აგიცდეთ და თქვენივე ხელით გათხრილ სამარეში არ აღმოჩნდეთ!

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საავადმყოფოდან გაქცეული პატიმარი პოლიციის განყოფილებაში იმყოფება



ქუთაისის ინფექციური საავადმყოფოდან გაქცეული მსჯავრდადებული რუსლან სოსელია ამ დრომდე სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის განყოფილებაში იმყოფება.

ის მაშინ დააკავეს როცა გალის რაიონში ცდილობდა გადასვლას. სოსელიას უახლოეს დღეებში ისევ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დააბრუნებენ.

„მსჯავრდადებული რუსლან სოსელია სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელთა მიერ ერთობლივად გატარებული სამძებრო-ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, სოფელ რუხში დააკავეს, საიდანაც გამყოფი ხაზის გადაკვეთით, გალის რაიონში გადასვლას ცდილობდა. მსჯავრდადებული 21 სექტემბერს, გამთენიისას ქუთაისის ინფექციური საავადმყოფოს ტერიტორიიდან გაიქცა, სადაც გეგუთის მე-14 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მკურნალობის მიზნით იყო გადაყვანილი. სოსელიას მიმართ, საქმეზე დაწყებულია გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 379-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს ქუთაისის განყოფილების თანამშრომელთა მიმართ – 342-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით“, – ნათქვამია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პროკურატურა ბრალდებულების გათავისუფლებას სააპელაციოში გაასაჩივრებს



თბილისის საქალაქო სასამართლომ ჯემალ შელიას გარდაცვალების საქმეზე ოთხი ბრალდებული უდანაშაულოდ ცნო და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. პროკურატურა აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და განაჩენის გასაჩივრებას სააპელაციო სასამართლოში აპირებს.

შელიას გარდაცვალების ფაქტზე სამართალდამცველებმა აკაკი გვასალია, ტარიელ, კახაბერ და ზურაბ წურწუმიები დააკავეს. მათ ბრალი წარედგინათ ჯემალ შელიას მიმართ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, დანაშაული ჩადენილი იყო ჯგუფურად. გამოძიებით დადგინდა, რომ 2013 წლის 24 დეკემბერს გლდანის პირველი მიკრორაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე აღნიშნული პირები ფიზიკურად გაუსწორდნენ ლევან კობახიძეს, ჯემალ შელიას, გიგა პავლიაშვილსა და ვაჟა სანთელაძეს.

დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც ნასვამ მდგომარეობაში მყოფებმა, აკაკი გვასალიამ, ტარიელ, კახაბერ და ზურაბ წურწუმიებმა, ჯიხურში მყოფ ლევან კობახიძის დედას ელზა კობახიძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. დაპირისპირების დროს სასტიკად იქნა ნაცემი ჯემალ შელია, რომელიც მიღებული დაზიანებებისგან მეორე დღეს გარდაიცვალა.

აკაკი გვასალიას, ტარიელ, კახაბერ და ზურაბ წურწუმიებს ბრალი წარედგინათ სსკ 239-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მეექვსე ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 8-დან 10 წლამდე ვადით. ოთხივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული.

სასამართლო სხდომაზე პროკურატურის მიერ ოთხივე პირის ბრალდება დადასტურებული იქნა სასამართლოში გამოკვლეული თანმიმდევრული და უტყუარი მტკიცებულებებით: მოწმეების ჩვენებებით, სასამართლო-სამედიცინო დასკვნებითა და ექსპერტების ჩვენებებით. მიუხედავად ამისა, სასამართლოს მიერ არ იქნა გათვალისწინებული პროკურატურის მტკიცებულებები. მოსამართლე გ. დარახველიძემ წარდგენილ ბრალდებაში ოთხივე პირი უდანაშაულოდ ცნო და სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა. (ნიუპოსტი)

CIAN MAGENTA YALLOW BLACK



რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# საიდან ადვოკატ ხაჭაპურიძეს ციხის ჩანაწერები, რომელიც კვესიტაძემ „რუსთავი 2“-ით გაუშვა?



**ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე „ალიასთან“ საუბარში იმ კანონიერ ქურდებს ასახელებს, რომლებმაც თავის დროზე „ნაციონალებს“ დიდი ფული გადაუხადეს თავისუფლების სანაცვლოდ. მისი თქმით, ამ ფაქტების დასახელებას არ აპირებდა, მაგრამ „ნაციონალების“ ცრუ პოლიტიკურმა კამპანიამ აიძულა. შეგახსენებთ, ეკა კვესიტაძემ თავის გადაცემაში („აქცენტები“), რომელიც ყოველ შაბათს გადის „რუსთავი 2“-ის ეთერში, კანონიერი ქურდებისა და კრიმინალური ავტორიტეტების სატელეფონო ჩანაწერები გაუშვა.**

– მე არ ვიცი, ხელისუფლება რატომ არ სცემს პასუხს, მაგრამ მე გეტყვით, რაშია საქმე: ყველა ის პირი, რომელიც კვესიტაძის გადაცემაში იყო ნაჩვენები და დამატებით კიდევ 60 პირი, ხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით არათუ მიცემულ იქნა პასუხისგებაში, გასამართლდა კიდეც და მიესაჯა 6-დან 9 წლამდე პატიმრობა. ეს ჩანაწერები ძველია და საქმის მასალებიდანაა გატანილი. მასალები ჰქონდა პროკურატურას, სასამართლოსა და ადვოკატებს. მათ შორის იყვნენ ადვოკატები, რომლებიც დღეს იცავენ „ნაციონალ“ მაღალჩინოსნებს. ასე რომ, ხსენებულ ფაქტზე სახელმწიფომ მოახდინა რეაგირება და 60-მდე პირს საპატიმრო სასჯელი შეეფარდა. ამჟამად, ხსენებული საქმეების ნაწილი სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებშია. ამ საქმეების განხილვა შარშან ზაფხულში მიმდინარეობდა, პროცესებს ესწრებოდა ,,რუსთავი 2“-იც, ვერ გავიგე, ახლა რა სიახლე აღმოაჩინეს? ან ტენდენციურები თუ არ არიან, რატომ ისიც არ თქვეს, რომ უმკაცრესი სასჯელები შეეფარდათ ხსენებულ პირებს? არ აწყობთ სიმართლის თქმა, მთავარია, საზოგადოება დაზაფრონ და ბიძინა ივანიშვილს დაჰბრალდეს ყველაფერი. კიდევ ერთი – პროკურატურა ამ საქმეებში საპროცესო შეთანხმებაზეც არ წავიდა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე პატიმარი განსაკუთრებით მძიმე და განუკურნებელი სენით იყო დაავადებული. თუმცა „რუსთავი 2“-ს არც ეს აინტერესებს. ნიკა გვარამია ამ ქვეყანას ექცა მეორე გებელსად. დღეს „ნაციონალების“ პროპაგანდის სამინისტრო არის „რუსთავი 2“ და მინისტრი არის გვარამია, რომლის საქმიანობასაც, თავის მხრივ, აკონტროლებს ირმა ნადირაშვილი. თუ ვინმეს დაავიწყდა, მე კარგად მახსოვს გვარამიას ფილმები ბადრი პატარკაციშვილზე.

**— გვარამია ერთი პერიოდი დაიბნა სხვა „ნაციონალებივით“, მაგრამ როგორც ვხედავთ, ახლა ისევ ფორმაშია.**

– რაც კვესიტაძემ და მაგან გააკეთეს, ეს არ არის ახალი ამბავი, როდესაც ხელისუფლება შეიცვალა, სოზარ სუბარი ახალი დანიშნული იყო სასჯელაღსრულების მინისტრად, მიდის გადაბარება, ცოცხებით აღარ იმართება ციხეები, ამოისუნთქეს პატიმრებმა, მიეცათ დარეკვის უფლება და მაშინ კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტმა აღმოაჩინა, კონკრეტულად მისმა თავმჯდომარემ, დავით ბედიამ ეს ნახა, მისცა დანაშაულის კვალიფიკაცია და როგორც ვთქვი, ყველა პატიმარი მიეცა პასუხისგებაში. ამ საქმეებში, როგორც ადვოკატი, მე პირადად ვმონაწილეობდი და ყველაფერი მშვენივრად მახსოვს. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე პიროვნებას კიბოს მეოთხე სტადია ჰქონდა, ესეც კი არ გაითვალისწინეს. რაც მთავარია, ეკა კვესიტაძემ ეთერში გაუშვა ამოჭრილი, დამახინჯებული და მიწებებულ-მოწებებული ჩანაწერები. მე ყველა ჩანაწერი მაქვს, სულ სიტყვასიტყვით გაშიფრული. მეტიც, ამ სატელეფონო საუბრებს წითელ ხაზად გასდევს და სასამართლოზეც ამას ვამბობდით, რომ აქ დანაშაულის შემცველი ნიშნებიც კი არ არის. აქ იმაზე კი არ მიდიოდა ლაპარაკი, რომ ვიღაცამ „ობშიაკში“ ფული გადაიხადოს და ვიღაცა მაყურებელი იყოს, პირიქით, სისტემა შეიცვალა, პატიმრები ერთმანეთს ეუბნებიან, ნუ იქნება ჩხუბი, გაუგებრობა, ნუ იქნება დაპირისპირება, ძლივს ამოვისუნთქეთო. პატიმრები ერთმანეთს აფრთხილებენ, ნუ იქნება არეულობა, მოვიდა ისეთი ხელისუფლება, რომელიც ჩვენგან ამას არ იმსახურებსო. თუმცა სასამართლომ ეს მაინც ჩათვალა დანაშაულად. კვესიტაძის გადაცემაში ერთი ხოხიაშვილი აჩვენეს, მისი საქმე სტრასბურგში წავიღეთ და მოვიგეთ. ვინც ამ ადამიანს აწამებდა, „ნაციონალების“ მიერ შეგზავნილი რამდენიმე პირი დღესაც ციხეში ზის. მაგალითად, „რეზბალნიცის“ ყოფილმა დირექტორმა, ჭაკუამ ერთ-ერთი პატიმარი გაკვეთა, გვამი მაგიდაზე დააგდო, ნაწლავები ამოაცალა, იქვე დაყარა, სამი დღე გააჩერეს, შემდეგ მიიყვანეს ეს ხოხიაშვილი, გააშიშვლეს და დააკრეს გვამს, რათა კარგად დატანჯულიყო. ასე იყო ხოხიაშვილი სამი დღე სისხლში, დამპალ გვამში და სუნში. თან დენი მიუერთეს და წყალს ასხამდნენ. ამ ბიჭმა მოიხადა 12 წელი, გამოვიდა გლდანის ციხიდან და 200 მეტრში ისევ აიყვანეს სწორედ ამ ჩანაწერების გამო. კვესიტაძე ტყუილად წიკვინებს, სახელმწიფომ ამ სატელეფონო საუბრებზე მყისიერი რეაგირება მოახდინა. 15 კაცს 9-9 წელი მიუსაჯა მოსამართლემ, ამას მოჰყვა დიდი წივილ-კივილი მათი ოჯახების წევრების მხრიდან. ასეთი დანაშაულები ხდება იტალიაშიც, საფრანგეთშიც და გერმანიაშიც, იქ რომ ხდება, დანაშაული ისეთი უნდა. ეს ჩანაწერები არ წარმოადგენს არავითარ საიდუმლოს, აგერ მიყრია სახლში და ვისაც უნდა, გავატან, ერთი ტომარა გავავსე ამას წინათ და რომ კარგად აქოთებულიყო, ამის



„რაც მთავარია, ეკა კვესიტაძემ ეთერში გაუშვა ამოჭრილი, დამახინჯებული და მიწებებულ-მოწებებული ჩანაწერები. მე ყველა ჩანაწერი მაქვს, სულ სიტყვასიტყვით გაშიფრული. მეტიც, ამ სატელეფონო საუბრებს წითელ ხაზად გასდევს და სასამართლოზეც ამას ვამბობდით, რომ აქ დანაშაულის შემცველი ნიშნებიც კი არ არის“

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## სააკაშვილის წინააღმდეგ ძიება კბილაშვილის პროკურორობის დროს დაიწყო



ყოფილი მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის განცხადებით, საქართველოს ექსპრეზიდენტის წინააღმდეგ ერთ საქმეზე ძიება მისი პროკურორობის დროს დაიწყო.

„ძიება ჩემ დროს იყო ფაქტზე, რომელიც უშიშროების საბჭოს მიერ გადმოცემული მასალების საფუძველზე დაიწყო და რომელიც ხარჯების შესწავლას შეეხებოდა“.

რაც შეეხება სააკაშვილი წინააღმდეგ აღძრულ სხვა საქმეებს, კბილაშვილი შეფასებისგან თავს იკავებს.

„სამართლებრივ მხარეზე კომენტარს ვერ გავაკეთებ, რადგან დოკუმენტებს არ ვფლობ. რაც შეეხება პოლიტიკურს, მე არ ვარ პოლიტიკოსი, ამიტომ ამის შეფასების მიზანშეწონილობას ვერ ვხედავ“, – განაცხადა კბილაშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 24 სექტემბრიდან ძლიერი წვიმა და ტემპერატურის მკვეთრი ვარდნაა მოსალოდნელი



საქართველოში არამდგრადი ამინდი უახლოესი დღეების განმავლობაში შენარჩუნდება. სინოპტიკოსების ვარაუდით, 24 სექტემბრიდან მთელი ქვეყნის მასშტაბით ძლიერი წვიმა და ტემპერატურის მკვეთრი დაცემაა მოსალოდნელი.

როგორც სპეციალისტები აცხადებენ, დასავლეთ საქართველოში 23 სექტემბერს მხოლოდ ერთი დღით გამოიდარებს, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში კი კვლავ წვიმაა მოსალოდნელი.

„23 სექტემბრიდან დასავლეთ საქართველოში გამოიდარებს, ველოდებით უმეტესად უნალექო ამინდს, ტემპერატურაც შესაბამისად რამდენიმე გრადუსით მოიმატებს და იქნება 26-31 გრადუსი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში კვლავ შენარჩუნდება ხანმოკლე წვიმა ელჭექით, გამოიდარებს აგრეთვე თბილისშიც“, – განაცხადა ნონა ელისაშვილმა. (ნიუპოსტი)

## სომხური ეკლესიის დაზიანებული სახურავი უახლოეს მომავალში აღდგება




ავლაბარში, გელათის ქუჩაზე, წვიმის შედეგად სომხური ეკლესიის „სურბ მინასის“ სახურავი ჩამოინგრა. ეკლესიას კულტურის ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული და ის ამჟამად არ ფუნქციონირებს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ შეისწავლა ნაგებობის არსებული მდგომარეობა. გადაწყდა, რომ უახლოეს მომავალში დაზიანებული სახურავის აღდგენა დაიწყება. (რეპორტიორი)

*მეხუთე გვერდიდან*

გადავყარე, ბევრი საქმე დამთავრდა და ისტორიას ჩაბარდა, არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს.

კვესიტაძემ ნაგვიდან ამოიღო ჩანაწერები და თავისი ჭკუით გააცოცხლა. „ნაციონალების“ პროპაგანდისტული მანქანაა ამუშავებული, თითქოს ქვეყანა იქცევა, ორი წლის წინანდელ ჩანაწერებს იყენებენ, ხალხო, ეს ფაქტები მოხდა 2012 წლის არჩევნებიდან 2 კვირის შემდეგ. ასეთი რაღაცები არ ხდება ახლა, ეს არის „ნაციონალების“ მიერ მომზადებული აფიორა. არავითარი ტელეფონები და არავითარი „ობშიაკი“, გვარამია-კვესიტაძის ზღაპრებია ეს ყველაფერი. რა, „ნაციონალების“ ადვოკატებმა არ იციან, რომ ახლა მე სიმართლეს ვლაპარაკობ? სასჯელაღსრულების სამინისტრომ ყველა ამ პატიმრის გვარი უნდა გამოიტანოს და გააკეთოს ვრცელი განმარტება. ამ საქმეში ერთადერთ ადამიანს გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება, ისიც იმიტომ, რომ იყო არასრულწლოვანი და ითანამშრომლა გამოძიებასთან.

**— გამოდის, „ნაციონალებმა“ ამჯერად ვერ გაარტყეს ცხრიანში?**

– ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში 15 კანონიერი ქურდი აიყვანეს, ახლა ისინი ციხეში სხედან. ამ კუთხით „ნაციონალებს“ არაფერი გამოუვათ. თუ შენ ობიექტური ჟურნალისტი ხარ, მაშინ უნდა თქვა: ბატონებო, ეს იყო 2 წლის წინათ, არჩევნებიდან 1 თვის განმავლობაში, ამაზე მოხდა რეაგირება და ყველას მიესაჯა პატიმრობა, ანუ დაუმატეს სასჯელებიო. ერთი კაცი არ არის გარეთ, ყველა ზის ციხეში. მოსამართლის გვარი და სახელიც კი მახსოვს, ეს იყო დალი მეტრეველი. კვესიტაძეს რომ ეს ყველაფერი ეთქვა, მაშინ აღარ გამოუვიდოდა გებელსური პროპაგანდა. მაშინ ამ პატიმრების ახლო ნათესავები ხან რომელ მინისტრთან დარბოდნენ, ხან რომელთან, იმასაც კი ცდილობდნენ, ბიძინა ივანიშვილთან რომ მიეგზავნათ ვინმე, მაგრამ ახლოს არავინ გაიკარა და არავითარი შეღავათი არ ყოფილა. რამდენად სამართლიანი იყო სასამართლოს გადაწყვეტილებები, ეს სხვა საკითხია, საქმეები გასაჩივრდა. ყოველ შემთხვევაში „რუსთავი 2“-ს ამ მხრივ ხმა არ ამოელება. ამათ თავიანთი მიზანი აქვთ, აგერ მეორე დღესვე გამოვარდა ირმა ნადირაშვილი და ხელისუფლება ქურდებთან თანამშრომლობაში დაადანაშაულა, ბრიფინგი ჩაატარა. ამ დროს ყვებიან 2 წლის წინანდელ ამბავს.

**— ნადირაშვილი აცხადებს, ბიძინა ივანიშვილი ქურდული გარჩევებითაა დაკავებული პრეზიდენტთანო. ეტყობა, ამჯერად მარგველაშვილს ურჩევს საქმეებს.**

– მეტი საქმე არა აქვს ბიძინა ივანიშვილს, აქ პრეზიდენტს ახსენებენ და სხვა კუთხით მიჰყავთ პროპაგანდა. მე ძალიან კარგად ვიცი, როგორი დამოკიდებულება აქვს ივანიშვილს ქურდული სამყაროს მიმართ, გაგონებაც კი არ უნდა. მე ასეთი უარყოფითი პოზიცია არ გამიგონია. ზღაპრებს ნუ ჰყვებიან „რემენაზე“ და ვილაცებზე, მოიტანონ ფაქტები. ამათ გეგმა აქვთ, ეს არის ამ გეგმის ერთი ნაწილი და კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. თუ სხვა თემების წამოწევაც ასევე უნდათ, მაშინ ჩაფლავებულან და ეგაა. წამდაუწუმ ახსენებენ ტარიელ ფოცხვერიას, ამ კაცს კიბოს მეოთხე სტადია აქვს და ზის ციხეში. გარეთ არის? სანატორიუმშია? „ნაციონალებმა“ რომ დაიჭირეს რამდენიმე კანონიერი ქურდი, როგორ გაუშვეს, ამაზე რატომ არ ლაპარაკობენ?



„მეტი საქმე არა აქვს ბიძინა ივანიშვილს... მე ძალიან კარგად ვიცი, როგორი დამოკიდებულება აქვს ივანიშვილს ქურდული სამყაროს მიმართ, გაგონებაც კი არ უნდა... ზღაპრებს ნუ ჰყვებიან „რემენაზე“ და ვილაცებზე, მოიტანონ ფაქტები. ამათ გეგმა აქვთ, ეს არის ამ გეგმის ერთი ნაწილი და კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ“



„სააკაშვილმა დაამკვიდრა მანკიერი სისტემა, რაც ახლაც გრძელდება — მე არ გამიგია პატიმრების ჯგუფურად შეწყალება, ეს უნდა იყოს ინდივიდუალური. სააკაშვილის დროს ამაში ფული კეთდებოდა, ახლა რა კეთდება? ყრიან ამდენ ხალხს ერთდროულად და მერე იძახიან, ეს რატომ მოკლეს, ის რატომ დააყაჩაღესო?“

**— რომელი კანონიერი ქურდები გაუშვეს?**

– ერთი გარდაცვლილია და გვარს ვიტყვი – ქუთათელაძისგან მილიონი დოლარი რომ აიღეს „ნაციონალებმა“, რატომ არ მოამზადებენ გადაცემას? ეს კაცი იყო კანონიერი ქურდი, აიღეს ფული და გაუშვეს. მეორისგან აიღეს 5 მილიონი და გაუშვეს. პირველი 2006 წელში იყო, მეორე – 2008-ში, ომამდე. მაშინ ნიკა გვარამია იყო პროკურატურაში მაგათი ზედამხედველი. ქუთათელაძის საქმეში ადეიშვილია გარეული, ეგ იყო გენპროკურორი. ამათ ჰგონიათ, რომ ჩვენ გვეძინა და არაფერი ვიცით? შაქრო კალაშოვის საქმეზე 1 მილიონი დოლარი რომ შემოიტანეს სომხეთიდან, ეგ როგორ იყო? მე ამაზე საჩივარი მაქვს შეტანილი მთავარ პროკურატურაში.

**— კონკრეტულად შაქრო კალაშოვის საქმეზე გაქვს შეტანილი განცხადება?**

– დიახ, დოკუმენტები მაქვს წარდგენილი, როგორ შემოიტანეს სომხეთიდან ფული, რათა კალაშოვისთვის თავი დაენებებინათ. როგორც კი ხელისუფლება შეიცვალა, ჩემთან მოვიდა პიროვნება, ახლა ვერ დავასახელებ, ყველაფერი დაწერა, რა იყო, როგორ იყო, დაასახელა გვარები, ვისთან მიიტანეს ფული, ვინ იყო მოლაპარაკებებში ჩართული და ასე შემდეგ. ეს კბილაშვილის პროკურორობის პერიოდში შევიტანე. ველოდები გამოძიების დაწყებას. სააკაშვილმა დაამკვიდრა მანკიერი სისტემა, რაც ახლაც გრძელდება – მე არ გამიგია პატიმრების ჯგუფურად შეწყალება, ეს უნდა იყოს ინდივიდუალური. სააკაშვილის დროს ამაში ფული კეთდებოდა, ახლა რა კეთდება? ყრიან ამდენ ხალხს ერთდროულად და მერე იძახიან, ეს რატომ მოკლეს, ის რატომ დააყაჩაღესო? ვიმეორებ: ეს არის „ნაციონალების“ საშემოდგომო შეტევის ერთი ნაწილი, თუ ასე გააგრძელებენ, ძალიან სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „საბას“ გამარჯვებულები დასახელდნენ



„საბას“ რიგით მე-12 კონკურსის გამარჯვებულები დასახელდნენ. კონკურსის ჟიურიმ გამარჯვებული ავტორები 10 ნომინაციაში გამოავლინა, რომლებსაც „საბას“ პრიზი და ფულადი პრემია გადაეცათ:

საუკეთესო რომანი – ზვიად კვარაცხელია, „ფორმა №100“; საუკეთესო პროზაული კრებული – არჩილ ქიქოძე, „ჩიტის და კაცის ამბავი“; საუკეთესო პოეტური კრებული – ეკა ქევანიშვილი, სახლის გაყიდვა; საუკეთესო თარგმანი: გიორგი გოკიელი – ლუის კეროლის „ელისის თავგადასავალი საოცრებათა ქვეყანაში“; საუკეთესო პიესა – დავით გაბუნია, „პიესები“; საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი – ლია ლიქოკელი, „დევის ცოლის სიცილი“; Toresa Mossy, სიბრძნე სიცრუისა; საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა – თამაზ კვაჭანტირაძე, „განსჯანი“;

საუკეთესო ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა – გოგი გვახარია, „ცრემლიანი სათვალე“; საუკეთესო თარგმანი ქართულიდან უცხო ენაზე – დონალდ რეიფილდი, ოთარ ჭილაძის რომანი „აველუმი“; ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის „საბა“ გადაეცა პოეტსა და მთარგმნელს დავით წერედიანს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სტიქიის შედეგად დაზარალებულის გადარჩენისთვის, მაშველს პრეზიდენტმა მადლობა შეუთვალა



საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი აჭარაში ჩავიდა, სადაც 20-21 სექტემბერს ძლიერი წვიმის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას შეხვდა და რეგიონში არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნო.

გიორგი მარგველაშვილი ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოს ეწვია, სადაც სტიქიის შედეგად დაზარალებული 36 წლის ამირან სამნიძე მოინახულა, რომელიც მეწყრის ჩამოწოლის დროს დაშავდა.

პრეზიდენტის განცხადებით, ის მზადაა აჭარის მთავრობას მხარში ამოუდგეს. პრეზიდენტმა აჭარის მთავრობის მეთაურს გადასცა, რომ ამირან სამნიძის გადარჩენისთვის მაშველს, ვახტანგ დევაძეს მადლობა გადაუხადონ.

„დატბორვის მიზეზებს და იმ შედეგს, რაც მოხდა, სწავლობს აჭარის ხელისუფლება. ჩვენ მოვედით, რომ მხარში ამოვუდგეთ აჭარის მთავრობას, აგრეთვე იმისთვის, რომ გავცნობოდით მიმდინარე სამუშაოებს. პირველ რიგში, ბუნებრივია, მოვინახულეთ მეწყრის დროს დაზარალებული. ის უაღრესად მადლობელია იმ მაშველისა და მედპერსონალის, რომლებმაც კარგად იმუშავეს და მაღალი პროფესიონალიზმით ასრულებენ თავიანთ მოვალეობას მისი გამოჯანმრთელებისთვის“, – აღნიშნა მარგველაშვილმა. (news.ge)



## თბილისის მერიაში 550 მოქალაქეს უმასპინძლეს

თბილისის მერიაში ტრადიციული, ორშაბათის მოქალაქეთა მიღებაზე თბილისის მერი, მერის მოადგილეები, საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელები და რაიონის გამგებლები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით 550 მოქალაქეს შეხვდნენ.

დავით ნარმანია პირადად 30 თბილისელს შეხვდა.

ცნობისთვის, მოქალაქეთა მიღება თბილისის მერის, დავით ნარმანიას ინიციატივით, ყოველ ორშაბათს 14:00-დან 18:00 საათამდე იმართება. (news.ge)



# მასწავლებლების კვალიფიკაციის დადგენის საკითხი შეიძლება კიდევ გადაიდოს

მასწავლებელთა სერტიფიცირების ალტერნატიულ მოდელთან დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პარლამენტში წარდგენილი პროექტი კომიტეტის თავმჯდომარის ვანო კილურაძისთვის მიუღებელია და მის მხარდაჭერას არ აპირებს. ის განათლების სამინისტროს ახალი კანონპროექტის მომზადებას ურჩევს. კანონში დაგეგმილი ცვლილებებით, მასწავლებელთა სერტიფიცირების მოდელი უქმდება, ხოლო მის ნაცვლად, მასწავლებლის ე.წ. პროფესიაში შესვლის, განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემა შემოდის. განათლების სამინისტროს განმარტებით, ახალი სქემის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლები კომპეტენციებისა და საქმიანობის შედეგების მიხედვით კატეგორიებად დაიყოფიან (მენტორი-მასწავლებელი, მკვლევარი-მასწავლებელი და პრაქტიკოსი მასწავლებელი), თუმცა მასწავლებელთა ამ გრადაციაზე მხოლოდ კანონპროექტის განმარტებით ბარათშია საუბარი, თავად პროექტში კი, საერთოდ, არაფერი წერია. შესაბამისად, თუკი პარლამენტი კანონპროექტს წარმოდგენილი სახით მიიღებს, მასწავლებელთა დაყოფის ახალი სისტემა და წესი თავად კანონით განსაზღვრული არ იქნება.

რას ნიშნავს სამინისტროს მიერ წარდგენილ სერტიფიციურ ალტერნატიულ მოდელში თითოეული კატეგორია და რის მიხედვით დაიყო ამდაგვარად? რა ანაზღაურება ექნებათ მასწავლებლებს თითოეული კატეგორიის მიხედვით? რატომ მოხვდა პარლამენტში ზერელედ მომზადებული პროექტი?

**„ალიას“ ესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ექსპერტ-კონსულტანტი, მანანა რატიანი:**

**— მასწავლებლები სტანდარტის მიხედვით არიან განაწილებულები საკვალიფიკაციო საფეხურად და შესაბამისად, სტანდარტში, რაც მარტის ბოლოს დამტკიცდა, მოცემულია თითოეულის კვალიფიკაცია და სქემა უზრუნველყოფს ამ საკვალიფიკაციო კატეგორიების მიხედვით მასწავლებლების წინსვლასა და განვითარებას.**

მენტორი მასწავლებელი გულისხმობს მასწავლებელს, რომლებიც სკოლის დონეზე სხვადასხვა სიახლეების ინიციატორები არიან და უფრო მეტად სკოლის ადმინისტრაციას უწყობენ ხელს ამ ინიციატივის განხორციელებაში. მკვლევარი მასწავლებლის მთავარი ფუნქცია არის ის, რომ ამ მასწავლებლებს შეუძლიათ პრაქტიკული კვლევების განხორციელება და საკუთარი გამოცდილების გაუმჯობესება საკუთარი პრაქტიკული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე. წარჩინებულია ის მასწავლებელი, რომელიც თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური დიფერენცირებული მიდგომის საფუძველზე იყენებს სტრატეგიებს და ზრუნავს გამჭოლი კომპეტენციის განვითარებაზე და ამ მიზნით თანამშრომლობს კოლეგებთან.

**— ცოტა მიჭირს თქვენი საუბრის გაგება, ვერ გავიგე, რას ნიშნავს გამჭოლი კომპეტენცია?**

– ეროვნული სასწავლო გეგმის შესავალ ნაწილში არის გამოყოფილი გამჭოლი კომპეტენციები, რომელიც თითოეულ საგანში უნდა იყოს ჩაშლილი(?) და თითოეული საგნის მიხედვით უნდა განვითარდეს, მაგალითად: წიგნიერება, რაოდენობრივი აზროვნება, მედია-წიგნიერება.

**— რაც შეეხება პრაქტიკოს მასწავლებელს?**

– ესაა ის მასწავლებლები, რომლებიც სასწავლო პროცესს დაგეგმავენ და წარმართავენ იმ კუთხით, რაც აუცილებელია ეროვნული სასწავლო გეგმების მისაღწევად.

**— ამ კატეგორიებს რამდენი ექნებათ ხელფასი, მაგალითად, დავიწყოთ მენტორიდან?**

– ხელფასი არ არის დადგენილი, ამის შესახებ ნოემბერში გაცხადდება და ეს დამოკიდებულია იმ მოდელზე, რასაც დაამტკიცებს ფინანსთა სამინისტრო. ვიცით, რომ მასწავლებლებს, რაც დღეს დანამატი აქვთ, ის არავისთვის შემცირდება და მხოლოდ მოიმატებს. ხელფასის მომატება კი მოხდება ასე: სქემაში მასწავლებლები განაწილდებიან თავიანთი კვალიფიკაციის მიხედვით, მაგალითად, არასერტიფიცირებული მასწავლებლები აღმოჩნდებიან პრაქტიკოსი მასწავლებლების დონეზე, სერტიფიცირებული – იქნებიან ზედა კატეგორიაში, ხოლო თავიდან რომ მქონდა მეცნიერებზე საუბარი, მეცნიერები, თუ დოქტორები, რომლებიც არიან ამ პროფესიაში, აღმოჩნდებიან ასევე ზედა კატეგორიაში.

**— ხელფასი როგორ მოემატება იგივე მკვლევარს? გაწეული შრომის მიხედვით, თუ აუცილებელია შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომის მომზადება?**

– იმის მიხედვით მოემატება, იმ ეტაპზე არის თუ არა ის მასწავლებელი სერტიფიცირებული და რა კვალიფიკაცია აქვს მას. ამის შემდეგ უკვე საჭიროა, აჩვენონ თავის შედეგები იგივე მასწავლებლის პორტფოლიოს საფუძველზე.

**— ვთქვათ, მინდა, მივაღწიო მენტორის ან მკვლევარის კვალიფიკაციას, ამ დროს კვლევაზე უნდა გადავერთო და ბავშვებს მოვწყდე? ორივეს ერთად შევძლებ?**

– ამ შემთხვევაში მასწავლებელი შეფასდება იმის მიხედვით, რას აკეთებს საკლასო ოთახში, რამდენად ეფექტურად ახორციელებს სწავლებას და რა შედეგს აღწევს მოსწავლე.

**— და ბოლოს, როგორ მოხდება ამ კვალიფიკაციების მინიჭება? ვინ გააკონტროლებს ამას?**

– ამის გამკონტროლებელი პირველ რიგში იქნება სკოლა, ადმინისტრაცია და კათედრები დაესწრებიან გაკვეთილებს და შეაფასებენ იმას, რასაც მასწავლებელი აკეთებს სკოლაში. ამავდროულად სასწავლო დაკვირვება მოხდება მასწავლებლის საკუთარ გარემოში და ეს სტანდარტიზებული დაკვირვების მეთოდებს დაეფუძნება. რას აკეთებს მასწავლებელი, ეს ყველაზე კარგად სკოლამ და ბავშვებმა იციან. სკოლის შეფასებას კი მონიტორინგის ჯგუფი გააკონტროლებს და ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი იქნება საიდენტიფიკაციო კომისია.

**— ჟურნალისტებისათვის ცნობილია დირექტორების არჩევნებთან დაკავშირებული ე.წ. „ჩაწყობების“ შესახებ და როგორ ფიქრობთ, აქ ეს გამორიცხული იქნება?**

– ამიტომ ხდება მასწავლებლების სხვადასხვა დონეზე შეფასება, რომ მინიმუმამდე დავიყვანოთ ის რისკი, რაც არაობიექტურობამდე მიგვიყვანს.

**— ვანო კილურაძემ დაგიწუნათ პროექტის ტერმინოლოგია და შინაარსობრივი მხარე, მისთვის გაუგებარი იყო ფრაზა „პროფესიაში მასწავლებლის შეყვანა“ და მართლაც, რას ნიშნავს ეს?**

– ეს იხმარება უფრო კულუარებში. ესაა მასწავლებლის პროგრამებისა და დაქირავების წესი, რაც შემუშავდა სამინისტროში.

**— რას ნიშნავს კულუარებში? ეს ტერმინი განა კანპონპროექტში არ გიწერიათ? და კიდევ, როგორ ფიქრობთ, რატომ დაიწუნა კილურაძემ თქვენი კანონპროექტი?**

– ვერ გეტყვით ამის შესახებ, ჯერ არ წამიკითხავს ინფორმაცია და ეტყობა, მეტი მუშაობაა საჭირო და მეტი განმარტება.

**— ანუ კომიტეტის თავმჯდომარემ რაღაცა ვერ გაიგო?**

– მე ეს არ მითქვამს, უბრალოდ ბევრი შეხვედრა მქონდა და, სამწუხაროდ, ასე დეტალებში არ ვიცი არაფერი.

**— მერე, ეს უმნიშვნელო დეტალია? პრაქტიკულად, ჩავარდა კანონპროექტი.**

– მე არ მითქვამს, უმნიშვნელო დეტალია-მეთქი, ვთქვი, დეტალებში არ ვიცი-მეთქი.

**რაც შეეხება პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის ბატონი ვანო კილურაძის კომენტარს:**

– მესმის, რომ მასწავლებელთა სერტიფიცირების არსებულ მოდელს ბევრი ხარვეზი და ნაკლი აქვს, მაგრამ არ შეიძლება თავის დროს გაუაზრებლად მიღებული საკითხი ახალი გაუაზრებელი სქემით შევცვალოთ. რას ნიშნავს მენტორი მასწავლებელი? ან რას ნიშნავს მკვლევარი მასწავლებელი, წარჩინებული მასწავლებელი და პრაქტიკოსი მასწავლებელი? რა საჭიროა ასეთი გრადაცია? მიმაჩნია, რომ მასწავლებლების ასეთი დაყოფა კარგი არ იქნება, მაგრამ ეს კატეგორიები კანონში საერთოდ დაფიქსირებული არ არის და მხოლოდ განმარტებით ბარათში წერია. გამოდის, რომ პარლამენტმა კენჭი უნდა უყაროს და მხარი დაუჭიროს სქემას, რომლის შესახებაც წარმოდგენა არ აქვს, ამიტომ უწყებამ აღნიშნულ საკითხზე ახალი პროექტი უნდა მოამზადოს.

თამარ ოქრუაშვილი
599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ვის ექნება დაბურული მინებით სარგებლობის უფლება

შს სამინისტროს განმარტებით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 18 სექტემბრის №716 ბრძანების შემუშავება მიმდინარეობდა რამდენიმე თვის განმავლობაში და მისი მიზანი იყო პირველ რიგში დამუქებული მინების გამოყენებაზე უფლებამოსილ პირთა წრის შემცირება და ასევე ბრძანების იურიდიული ტექნიკის კუთხით დახვეწა. აღნიშნული ბრძანება ითვალისწინებს შემდეგ სიახლეებს:

აიკრძალა ოპერატიულ-სამძებრო დანიშნულების ა/მანანებზე მინების დამუქების თანხმობის გაცემა, აღნიშნული თანხმობის დიდი ნაწილი სწორედ ასეთი კატეგორიის ა/მანქანებზე მოდიოდა;

განისაზღვრა „სპეციალური დანიშნულების ავტოსატრანსპორტო საშუალებების“ დეფინიცია და მათი ჩამონათვალი – სასწრაფო-სამედიცინო, ინკასაციის, საბადრაგო, სადაზვერვო-ოპერატიული და საბრძოლო დავალებების განმახორციელებელი სამსახურები. ცვლილების ამოქმედებამდე არ არსებობდა მსგავსი განმარტება და არც მითითებული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებათა ნუსხა;

დაზუსტდა იმ თანამდებობის პირთა წრე, რომელთა სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზეც შეიძლება გაიცეს დამუქებული მინების გამოყენების თანხმობა. ცვლილების შეტანამდე მოქმედი ბრძანების მიხედვით აღნიშნულ პირთა წრე არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული; ცვლილების თანახმად, სამსახურებრივი აუცილებლობიდან და საჭიროებიდან გამომდინარე, დამუქებული მინებით სარგებლობის უფლება დამატებით განესაზღვრათ შემდეგ სახელმწიფო მოხელეებს:

საქართველოს პრეზიდენტი; საქართველოს პრემიერ-მინისტრი; საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები; პარლამენტის კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები; საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში – ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი და მისი მოადგილე; საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი.



საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი; საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი; საქართველოს მთავარი პროკურორი და მისი მოადგილეები, ქ. თბილისის პროკურორი და საქართველოს მთავარი პროკურატურის დეპარტამენტების პროკურორები; საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი და მისი მოადგილეები; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი და სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე; საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე; თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე; სისხლის სამართლის საქმის განმხილველი მოსამართლე; საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე; გენერალური აუდიტორი; სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი; თვითმმართველი ქალაქის (თბილისი) მერი. (ნიუპოსტი)

# „მაგთიკომი“ იუბილარია – კომპანიამ ოპერირების 17 წელი იზეიმა

## ქვეყნის ეკონომიკაში შეტანილი უპრეცედენტო წვლილი, ქველმოქმედება, სრულყოფილი დაფარვის ზონა, 5 ბრენდი, 3 მილიონზე მეტი აბონენტი...

**თამამად შეიძლება ითქვას, „მაგთიკომის“ ხარისხი“ ცალკე აღებული მოვლენაა, რომელიც მას ჩვენს ქვეყანაში მომუშავე ნებისმიერი კომპანიისგან გამოარჩევს.**

**დიდი ხანია, „მაგთიკომი“ ასოცირდება ხარისხიან მომსახურებასთან, ხარისხიან კავშირთან, ქველმოქმედებასთან, ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე ზრუნვასთან, ექსკლუზიური სიახლეების დანერგვასთან და ეს „დიდი ხანი“ უკვე 17 წელს ითვლის: ზუსტად 17 წლის წინათ – 1997 წლის 22 სექტემბერს „მაგთიკომის“ ქსელიდან გაშვებული კომერციული სატელეფონო ზარით საქართველოში მუდმივი კავშირის სამყარო შეიქმნა. მას შემდეგ ტექსტური შეტყობინებები და სატელეფონო ზარები ადამიანების ბიოგრაფიის განუყოფელ ნაწილად, „მაგთიკომის“ სატელეკომუნიკაციო ანძები კი საქართველოს უახლესი ისტორიის მემატიანეებად იქცა...**

17 წლის იუბილე „მაგთიკომმა“ ფილარმონიაში გამართული კონცერტით აღნიშნა – კომპანიის მიერ მიწვეული მომხმარებლებისა და საპატიო სტუმრების წინაშე სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით წარდგა.

კონცერტი იმდენად ემოციური და ამაღელვებელი აღმოჩნდა, ემოციების მოთოკვა უბრალოდ, შეუძლებელი იყო. სხვათა შორის, ამ კონცერტის ნახვა ნებისმიერ მსურველს უახლოეს მომავალში – 4 და 5 ოქტომბერს კვლავაც ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შეუძლია.

შესაძლოა, ვინმეს უჩვეულოდაც კი მოეჩვენოს, მაგრამ კონცერტზე იუბილარი კომპანიის წარმომადგენლებს არ უსაუბრიათ დაუსრულებლად იმ მნიშვნელოვან მიღწევებზე, მნიშვნელოვან საქმიანობაზე, რომელიც „მაგთიკომს“ ნამდვილად ყველასგან გამოარჩევს – შემოიფარგლნენ მხოლოდ იმით, რომ მადლობა გადაუხადეს მომხმარებლებს, პარტნიორებს, სტუმრებსა და კონკურენტებსაც კი:

– მადლობა ჩვენს კონკურენტ კომპანიებს ჯანსაღი კონკურენციისთვის. მათი არსებობა ჩვენ გვაძლიერებს!..

*****

„მაგთი GSM“ – ასეთი იყო „მაგთიკომის“ პირველი მობილური კავშირგაბმულობის ბრენდის სახელწოდება, რომელმაც, ტექნოლოგიურ პროგრესთან ერთად, იერსახეც იცვალა და სახელიც.

დაარსების დღიდან „მაგთიკომი“ ყოველთვის პასუხობდა დროის მოთხოვნებს და აბონენტებს უამრავ სიახლეს სთავაზობდა.

**„მაგთიკომის“ დამსახურებით, საქართველო პირველი ქვეყანა იყო აღმოსავლეთ ევროპაში, სადაც მესამე თაობის საკომუნიკაციო ქსელი დაინერგა.** შესაბამისად, 2006 წელს GSM „მაგთის“ ლოგოსაც ჩამოსცილდა და სახელსაც.




2005 წელს ქალაქის ქუჩებში „ბალი ბიჭუნა“ გამოჩნდა და მას შემდეგ, „მაგთიკომის“ მეორე ბრენდი – მხიარული და ენერგიული „ბალი“ – ახალგაზრდების ერთგულ მეგობრად იქცა.

მობილური სატელეფონო მომსახურების გარდა, 2008 წელს „მაგთიკომმა“ მომხმარებელს ფიქსირებული ტელეფონია „მაგთი ფიქსიც“ შესთავაზა.

2010 წელს კი კომპანიას მობილური კავშირგაბმულობის ახალი ბრენდი „ბანი“ დაემატა.

**დღეს „მაგთიკომის“ მომხმარებელს საკუთარი გემოვნებისა და ასაკის მიხედვით შეუძლია საკომუნიკაციო ბრენდის არჩევა.**

უწყვეტი კავშირის უზრუნველყოფა და დაფარვის ზონის გაფართოება ყოველთვის იყო „მაგთიკომის“ პრიორიტეტი. **ანძების დადგმა კომერციულად არამომგებიან ადგილებშიც კი იმაზე მეტყველებს, რომ ქართული კომპანიისთვის, რომელიც ქართულ საქმეს აკეთებს, ხშირად კომერციულ მიზნებზე მაღლა სახელმწიფოებრივი ინტერესი დგას.**

ისეთი რთული რელიეფის მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, კომპანიის თანამშრომლებს საბაზო რადიოსადგურებისა და ანძების ასაგებად მიუვალ ადგილებში გზების გაყვანა, კლდეებსა და მთის მწვერვალებზე სამუშაო მოედნების მოწყობა უხდებათ. **სირთულეების მიუხედავად, „მაგთიკომის“ დაფარვის რუკა დღეისთვის ქვეყნის კონტროლირებად, დასახლებული ტერიტორიის 99 პროცენტს აღწევს. ზოგიერთ რეგიონში კი „მაგთიკომი“ კვლავაც კავშირის ერთადერთ საშუალებად რჩება.**

2008 წლის ომის დროს, როდესაც შეუფერხებელი კომუნიკაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო კონფლიქტის ზონაში მცხოვრებთათვის, **კომპანიის თანამშრომლები დაზიანებული სადგურების შეკეთებას საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად ახერხებდნენ.** ომის დღეებში კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ ადამიანებს შეუზღუდავად და უწყვეტად შეეძლოთ ახლობლებთან დაკავშირება. მეტიც, **დავალიანების მიუხედავად, არც ერთ აბონენტს არ გათიშვია გამავალი ზარი.** გარდა ამისა, „მაგთიკომმა“ სხვა მობილური ოპერატორების კავშირის გარეშე დარჩენილ აბონენტებსაც მისცა საშუალება, ნაციონალური როუმინგის მეშვეობით „მაგთიკომის“ ქსელით ესარგებლათ.



დღეს „მაგთიკომის“ მომსახურების ფართო ქსელი საქართველოს მთელ ტერიტორიას ფარავს. დედაქალაქსა და რეგიონებში მომხმარებლებს მომსახურებისა და რეალიზაციის 52, მათ შორის, 5 მობილური ოფისი ემსახურება. ამას დილერების ფართო ქსელი და იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრები ემატება.

2012 წლიდან „მაგთიკომი“ საქართველოში თანამგზავრული მაუწყებლობის პირველი ოპერატორის – „მაგთისატის“ მეშვეობით ქვეყნის ნებისმიერ წერტილში მაღალი ხარისხის ტელემაუწყებლობას უზრუნველყოფს. „მაგთი სატი“ ისეთ ადგილებშიც ვრცელდება, სადაც კომუნიკაციის სხვა ალტერნატივა არ არსებობს. მისი გამოსახულება ყველგან თანაბრად მკაფიო და უხარვეზოა, მაუწყებლობა კი – შეუფერხებელი.

2013 წელს „მაგთიკომმა“ საკუთარი წარმოების ქართულ ენაზე გახმოვანებული 3 ახალი კინოარხი შესთავაზა „მაგთი სატის“ მომხმარებელს: „ჩვენი მაგთი“, „მაგთი ჰიტი“ და „მაგთი კინო“, რითაც თანამგზავრული ოპერატორობის პარალელურად, მაუწყებლობასაც ჩაუყარა საფუძველი. მაყურებელს ამ კინოარხებზე შეუძლია, იხილოს ქართული მხატვრული თუ დოკუმენტური კინო და სპექტაკლები. ქართულ ენაზე გახმოვანებული ყველაზე პრესტიჟული კინოფესტივალების პრიზიორი და ნომინანტი უცხოური ფილმები.

2014 წელს „მაგთიკომმა“ სტოკჰოლმიდან გადმოიტანა და აამუშავა საკუთარი მიწისზედა თანამგზავრული სადგური, რომლის საშუალებითაც სატელევიზიო არხები უკვე საქართველოს ტერიტორიიდან შეიძლება აიტვირთოს.

ეს სადგური SES Astra-ს რეგიონალური ჰაბის ფუნქციას ასრულებს და აკმაყოფილებს არა მარტო „მაგთიკომის“ შიდა მოთხოვნას – თანამგზავრზე „მაგთი სატის“ არხების ატვირთვას, არამედ მეზობელ ქვეყნებსაც მოემსახურება, რომ „ასტრას“ თანამგზავრზე საკუთარი ტელეარხები განათავსონ.

**„მაგთიკომი“ პირველი კომპანიაა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, რომელმაც უპრეცედენტო წვლილი შეიტანა ქვეყნის ეკონომიკაში – 2014 წლის სექტემბრის მონაცემებით, „მაგთიკომს“ საქართველოს ეკონომიკაში 1 მილიარდ 260 მილიონი ლარი აქვს შეტანილი.**

„მაგთიკომის“ საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ყოველთვის იყო ქველმოქმედება – „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ – ამ დევიზით კომპანიამ ასეულობით პროექტი განახორციელა ქართული კულტურის, ხელოვნების, განათლებისა და სპორტის მხარდასაჭერად.

დღეს „მაგთიკომი“ 5 ბრენდს აერთიანებს და ერთადერთი სატელეკომუნიკაციო კომპანიაა საქართველოში, რომელიც 3 მილიონზე მეტ მომხმარებელს მობილურ და ფიქსირებულ ტელეფონს, ინტერნეტსა და თანამგზავრულ სატელევიზიო მაუწყებლობას სთავაზობს.

„მაგთიკომში“ 1063 ადამიანია დასაქმებული. კომპანიის წარმატება თითოეული მათგანის დამსახურება და კვალიფიციური შრომის შედეგია.

„მაგთიკომი“ მუდმივად ზრუნავს მათ პროფესიულ განვითარებაზე და თანამშრომლებს შესაძლებლობების სრულად გამოვლენისთვის საუკეთესო პირობებს უქმნის. ამასთანავე, „მაგთიკომის“ სატელიტ სამშენებლო, იურიდიულ და სადისტრიბუციო ფირმებში ასეულობით ადამიანია დასაქმებული.

**„მაგთიკომი“, მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების მსგავსად, კვლავ აგრძელებს საქართველოში უახლესი ტექნოლოგიების განვითარებასა და დანერგვას. უახლოეს მომავალში საქართველო „მაგთიკომის“ მე-4 თაობის კავშირს მიიღებს და მუდმივი კავშირის სამყარო ადამიანებისთვის კიდევ უფრო მოსახერხებელი და მიმზიდველი გახდება.**

მიხეილ სახვაძე

დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ცოცხალი თავით არ აღიარებენ, რომ ქვეყანაში კრიმინალმა მოიმატა, მაგრამ მათ მიერ გატარებული ღონისძიებები, ახლად მიღებული გამკაცრებული კანონები გაფიქრებინებს, რომ კრიმინალი იზრდება და კანონის გამკაცრება სწორედ ამან გამოიწვია და რომ ეს ერთგვარი პრევენციაა კრიმინალთან საბრძოლველად.

ახლახან პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა იარაღის შესახებ კანონში და, აგრეთვე, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა პაკეტი შეიმუშავა. დაწესდა ახალი რეგულაციები და გამკაცრდა ცეცხლსასროლი და სხვა სახის იარაღის შეძენის, შენახვისა და გამოყენების წესები. დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობთ იმ ცვლილებებს, რაც უკვე შესულია სხვადასხვა სახის კანონში.

ცვლილების თანახმად, თუკი ბრუნვის წესების ცოდნაში. აგრეთვე, შემოწმდება, პიროვნების სანდოობისა და ფსიქიკური თავისებურებების მიხედვით, გაიცეს თუ არა მასზე იარაღის შეძენა-ტარების ნებართვა.

ახალი ცვლილებების მიხედვით, იარაღი უნდა ინახებოდეს დაშლილ, განმუხტულ მდგომარეობაში. სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლში შედის ცვლილება. ამ მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც ეხება იარაღის უკანონო შეძენასა და შენახვას, მკაცრდება და ჯარიმა აღარ იქნება სანქცია, არამედ პირს, რომელიც უკანონოდ შეიძენს და შეინახავს იარაღს, 4 წლით თავისუფლების აღკვეთა ელის.

იარაღის უკანონო ტარება აღარ იქნება ნაკლებად მძიმე დანაშაული და გადავა მძიმე დანაშაულის კატეგორიაში. აქაც ჯარიმა უქმდება და შემოდის თავისუფლების აღკვეთა არა 3-დან 5 წლამდე, არამედ 4-დან 6 წლამდე, რასაც ეს დანაშაული ნაკლებად მძიმედან მძიმე კატეგორიის დანაშაულში გადაჰყავს.

ც ვ -

ან არის ადმინისტრაციული წესით სახდელდადებული ისეთ შემთხვევებში, როგორიც არის წვრილმანი ხულიგნობა, საჭესთან მთვრალ მდგომარეობაში ჯდომა, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ეს პირები, მიუხედავად იმისა, მოხსნილი აქვთ თუ არა ნასამართლობა, ვერ მიიღებენ ნებართვას ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-შენახვა-ტარებაზე. შესაბამისად, შს სამინისტროს სერვისების მომსახურების სააგენტო გასცემს ამ კანონის ძალაში შესვლიდანვე ახალი ტიპის ცნობებს, რომელიც არ იქნება ნასამართლობის ცნობა, არამედ იქნება



**ქალბატონო თეა, საიდან დაასკვენით, რომ სწავლა, თვითგანვითარება, დაოჯახება და პროფესიული კარიერა მაინცდამაინც 18-23 წლის ასაკში აინტერესებს ახალგაზრდას? მერე, 24 წლისა რომ გახდება, ეს ყველაფერი მისთვის სულ ერთი გახდება და იარაღის შეძენის ინტერესიც მაშინ გაუჩნდება? 23 წლის მერე, კარიერა აღარ დააინტერესებს თუ სწავლაზე აიღებს ხელს? ჰო, ცოლსაც ყველა 23 წლამდე მოიყვანს და აი, მერე დაიწყება იარაღის მასობრივი შეძენა?!**

# რა აბსურდები აღმოაჩინა „ალიამ“ „იარაღის კანონის“ ცვლილებებში



**ძალიან მაინტერესებს, ყველა მინისტრს ერთად მოგივიდათ თავში ეს „გენიალური აზრები“ თუ ცალ-ცალკე და მერე ერთმანეთს გაუზიარეთ? წულუკიანი იმასაც აცხადებს, 23 წლის ასაკში ადამიანი ჭკუადამჯდარი და დაღვინებულიაო. 50 და 60 წლის დამთხვეული და არანორმალური არ გინახავთ?**

დღეს ადამიანს შეუძლია 18 წლიდან შეიძინოს და შეინახოს ცეცხლსასროლი იარაღი, კანონის ძალაში შესვლიდან ასაკი 23 წლამდე გაიზრდება. ცვლილებებითვე, მხოლოდ 21 წლის ასაკიდან ხდება შესაძლებელი, ადამიანმა სპორტული, გაზისა და სანადირო იარაღი შეიძინოს და გამოიყენოს. გარდა ამისა, ყველა ის პირი, რომელიც ცეცხლსასროლი იარაღის შეძენასა და მით უფრო, ტარებას დააპირებს, ვალდებული იქნება, გამოცდა ჩააბაროს თეორიულ ცოდნაში და ასევე, გამოცდა იარაღის ლილებების თანახმად, თუკი პირი დეპორტირებული იქნება იმ მიზეზით, რომ მან საზღვარგარეთ ჩაიდინა სიცოცხლის ან ჯანმრთელობის წინააღმდეგ დანაშაული, მას საქართველოში არ ექნება იარაღის შეძენა-შენახვა-ტარებაზე უფლების მოპოვების საშუალება. გარდა ამისა, თუკი პირი წარსულში მსჯავრდადებული იყო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე ან ნაკლებად მძიმე დანაშაულზე იარაღის გამოყენებით ან ძალადობით, რომელთა სიაც ჩამოთვლილი იქნება კანონში, ცნობა მსჯავრდადების შესახებ და ასეთ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება, აქვს თუ პირს არა მოხსნილი და გაქარწყლებული ნასამართლობა.

ამასთანავე, ადმინისტრაციული წესით დასჯადად ცხადდება: ა) სავაჭრო ობიექტში არასრულწლოვნისთვის ცივი იარაღის მიყიდვის ამკრძალავი საინფორმაციო ბანერის მყიდველისთვის თვალსაჩინო ადგილზე განთავსების მოთხოვნის დარღვევა – ითვალისწინებს ჯარიმას 100 ლარის, ხოლო განმეორების შემთხვევაში 200 ლარის ოდენობით; ბ) არასრულწლოვნისთვის ცივი იარაღის მიყიდვა – ითვალისწინებს ჯარიმას 300 ლარის, ხოლო განმეორების შემთხვევაში – 500 ლარის ოდენობით.

აი, ჯერჯერობით ეს არის ყველაფერი, რაც იარაღის მფლობელობის შეზღუდვისთვის გააკეთა ხელისუფლებამ. რბილად რომ ვთქვათ, რაც ზემოთ წაიკითხეთ, ამ განმარტებებმა არაერთი კითხვა გამიჩინა და მათზე ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი, იუსტიციის მინისტრის, თეა წულუკიანის განმარტება მინდა შემოგთავაზოთ ამ საკითხზე. აი, რას აცხადებს თეა წულუკიანი: „მთავრობა მიიჩნევს, რომ 18-დან 23 წლამდე ახალგაზრდას უნდა აინტერესებდეს სწავლა, თვითგანვითარება, დაოჯახება, პროფესიული კარიერა და არა იარაღის ფლობა. ჩვენ ჩავდეთ სანადირო იარაღის შემთხვევაში დათქმა, რომ ახალგაზრდას, რომელსაც არ მიუღწევია 21 წლის ასაკისთვის, მშობელთან ან სხვა უფროსთან ერთად საშუალება ჰქონდეს, სანადირო საქმიანობას მისდიოს, თუკი ეს მის ინტერესებში იქნება“.

ქალბატონო თეა, საიდან დაასკვენით, რომ სწავლა, თვითგანვითარება, დაოჯახება და პროფესიული კარიერა მაინცდამაინც 18-23 წლის ასაკში აინტერესებს ახალგაზრდას? მერე, 24 წლისა რომ გახდება, ეს ყველაფერი მისთვის სულ ერთი გახდება და იარაღის შეძენის ინტერესიც მაშინ გაუჩნდება? 23 წლის მერე, კარიერა აღარ დააინტერესებს თუ სწავლაზე აიღებს ხელს? ჰო, ცოლსაც ყველა 23 წლამდე მოიყვანს და აი, მერე დაიწყება იარაღის მასობრივი შეძენა?! ესეც რომ არა, იარაღის სიყვარული თუ სწავლა-განათლებასა და დაოჯახებას უშლიდა ხელს, მართლა პირველად ახლა გავიგე.

წულუკიანი ამბობს, რაც მოგახსენეთ, ეს მთავრობის საერთო აზრიაო. ძალიან მაინტერესებს, ყველა მინისტრს ერთად მოგივიდათ თავში ეს „გენიალური აზრები“ თუ ცალ-ცალკე და მერე ერთმანეთს გაუზიარეთ? წულუკიანი იმასაც აცხადებს, 23 წლის ასაკში ადამიანი ჭკუადამჯდარი და დაღვინებულიაო. ქალბატონო თეა, 50 და 60 წლის დამთხვეული და არანორმალური არ გინახავთ? თუ არ გინახავთ, მე განახებთ, რამდენსაც მოისურვებთ და რა ვიცი, მერე იქნებ აზრი შეიცვალოთ და იარაღის ფლობა ადამიანს 60 წლიდან დართოთ?! მოკლედ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს იუს-

*გაგრძელება მე-10 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ლომისობის დღესასწაულზე დაკარგულ ახალგაზრდას მეოთხე თვეა ეძებენ



უკვე მეოთხე თვეა, უშედეგოდ ეძებენ სოფელ ქვემო მლეთაში დაკარგულ 17 წლის გურამ დადიანიძეს. შსს-ს პრესსამსახურის განცხადებით, ამ დრომდე დადიანიძის არანაირი კვალი არ ჩანს.

ცნობისთვის, გურამ დადიანიძე ახლობლებთან ერთად ლომისობას, 11 ივნისს, წმინდა გიორგის ტაძარში იმყოფებოდა და უკან მათთან ერთად დაბრუნდა. ახალგაზრდა სოფელ ქვემო მლეთის ტერიტორიაზე გაუჩინარდა. (news.ge)

## ხელვაჩაურში მეწყერმა საფლავი წაიღო

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენში ჩამოწოლილმა მეწყერმა საფლავი წაიღო. ხელვაჩაურის გამგებლის მოადგილის, ნოდარ ხალვაშის განცხადებით, ძლიერი წვიმის შედეგად ჩამოწოლილმა მიწის მასამ სოფლის სასაფლაოს კედელი დააზიანა. მისივე თქმით, ერთი საფლავი მეწყერმა ჩაიტანა, თუმცა ჭირისუფალმა სასაფლაოს აღდგენა მოახერხა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი...

## ავჭალაში დაჭრილი არწივი იპოვეს



თბილისის მცხოვრებმა გიორგი ბასიაშვილმა ავჭალაში დაჭრილი არწივი იპოვა, რომელსაც ძლიერი სისხლდენა აღენიშნებოდა. მან ფრინველი თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარში გადაიყვანა. ექიმებმა არწივს პირველადი დახმარება აღმოუჩინეს. გამოჯანმრთელების შემდეგ მას ბუნებაში გაუშვებენ. (ფრონტნიუსი)



## მოქალაქემ საბრძოლო მასალა ნებაყოფლობით ჩააბარა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს მერვე განყოფილებაში მოქალაქემ წარმოადგინა და ნებაყოფლობით ჩააბარა საბრძოლო მასალა: „ეფ-1“-ის ტიპის 2 ხელყუმბარა და „ა-კა-ეს“-ის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის 1 მჭიდი 30 ვაზნით. ექსპერტიზის დასკვნით, ჩაბარებული საბრძოლო მასალა გამოსაყენებლად ვარგისია. გამოძიება საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს. (ფრონტნიუსი)

მეცხრე გვერდიდან

ტიციის მინისტრის არგუმენტები. ჰო, თეა წულუკიანი აქვე აცხადებს, რომ სანადირო თოფების ფლობის უფლება ამიერიდან 21 წლიდან ექნება ადამიანსო. ქალბატონო თეა, არის ათასები კი არა, ათეულ ათასობით ადამიანი, რომელთათვისაც ნადირობა მხოლოდ გართობა არ არის, მათთვის ეს ცხოვრების წესია, ცხოვრების შემადგენელი ნაწილია და ამის გარეშე ვერ ძლებენ. მათ შორის 21 წლამდე ახალგაზრდებიც არიან და იმათ რა დააშავეს? რატომ ართმევ ნადირობის უფლებას? თუ დანაშაულის ჩადენა უნდა და თუ მაინცდამაინც სანადირო თოფით უნდა ვინმეს მოკვლა, იმ 21 წლამდე მოიცდის, შეიძენს და შუბლს მერეც გაუხვრეტს? 18 წლის ახალგაზრდა ამ ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქე ხდება, ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო სამოქალაქო მოვალეობას იხდის – არჩევნებში მონაწილეობს. მეტიც, 18 წლის ასაკში ჯარში იწვევენ, შეიძლება ომში მონაწილეობაც მოუწიოს იარაღით ხელში, მაგრამ აი, სანადირო თოფს ვერ იყიდის. წულუკიანის ლოგიკით, მწყრის მოკვლას უფრო „დაბრძენება" სჭირდება, ვიდრე მტერთან ბრძოლას. ეს შეუსაბამობაში მოდის იმ ანტიდისკრიმინაციულ კანონთან, თქვენმა პარლამენტმა დიდი სიხარულით რომ მიიღო. ვინმემ, იარაღის შეძენის მსურველმა 20 წლის ახალგაზრდამ სასამართლოში რომ უჩივლოს ხელისუფლებას, მერწმუნეთ, იმ ანტიდისკრიმინაციული კანონის საფუძველზე, სამართლიანი მოსამართლის პირობებში პროცესსაც მოიგებს და ეს 21-წლიანი ზღვარი სანადირო თოფის ფლობაზე მოიხსნება. რატომ? იმიტომ, რომ აშკარად ასაკობრივ დისკრიმინაციასთან გვაქვს საქმე. ეს მრავალ საერთაშორისო კანონსა და კონვენციას ეწინააღმდეგება, რომლებსაც საქართველოც არის მიერთებული.

ჰო, აქვე სპორტულ და გაზის იარაღზეც უნდა ვთქვა. 21 წლამდე შეძენა-ტარებაც იკრძალება. ეს უკვე მეტისმეტია, ერთიც და მეორეც მხოლოდ თავდაცვის მიზნით სჭირდება ადამიანს და ხელისუფლება თავდაცვის ამ მინიმალურ საშუალებასაც ართმევს. არ ვიცი, შს სამინისტროს აქვს სტატისტიკა, რომ კრიმინალთა მიერ დაზარალებულები, უმთავრესად 21 წელს გადაცილებულები არიან და შესაბამისად, 21 წლამდე ახალგაზრდები უსაფრთხოდ გრძნობენ თავს? თუ პირიქით, ყველაზე მეტ კრიმინალს 18-23 წლის ასაკის ახალგაზრდები სჩადიან?! მოკლედ, ამ არასერიოზულ ცვლილებებზე სერიოზულად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ არანაირი საფუძვლიანი განმარტება არ მოჰყოლია ამ ასაკობრივ აკრძალვას არც სანადირო, არც გაზისა და არ სპორტული იარაღის ფლობის აკრძალვის შესახებ. თუ იყო განმარტებები, მეტად არაკომპეტენტური, რომლებიც მრავალ კითხვის ნიშანს აჩენს.



ვინმემ, იარაღის შეძენის მსურველმა 20 წლის ახალგაზრდამ სასამართლოში რომ უჩივლოს ხელისუფლებას, მერწმუნეთ, იმ ანტიდისკრიმინაციული კანონის საფუძველზე, სამართლიანი მოსამართლის პირობებში პროცესსაც მოიგებს და ეს 21-წლიანი ზღვარი სანადირო თოფის ფლობაზე, მოიხსნება. რატომ? იმიტომ, რომ აშკარად ასაკობრივ დისკრიმინაციასთან გვაქვს საქმე. ეს მრავალ საერთაშორისო კანონსა და კონვენციას ეწინააღმდეგება, რომლებსაც საქართველოც არის მიერთებული

ახლა თავად საკანონმდებლო ცვლილებებს მივხედოთ. საინტერესოა, რის საფუძველზე დაადგინა მთავრობამ, რომ ცეცხლსასროლი იარაღის ფლობა 23 წლიდან არის უპრიანი? როცა ასეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებს ნებისმიერი ხელისუფლება, ამ პროცესში ჩართულნი არიან ექსპერტები-კრიმინალისტები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები და სხვ. მერე, ამ ხალხთან ერთად იქმნება ერთიანი კომისია, რომელიც მრავალხნიანი მუშაობის შემდეგ, დადებს დასკვნას, რომელი წლიდან არის დასაშვები კონკრეტულ ქვეყანაში იარაღის ფლობა. ასეთი კომისია ხელისუფლებას არ შეუქმნია და ერთპიროვნულად გადაწყვიტა ეს საკითხი. გარდა ამისა, არც კვლევები ჩატარებულა ამ თემაზე. არადა, კანონის მიღებამდე, მრავალი სახის სოციოლოგიური კვლევა ტარდება და მათი პასუხები უდევს საფუძვლად ასეთ გადაწყვეტილებას. ასე, ხელაღებით, ხალხთან შეუთანხმებლად ხომ „ნაციონალებიც" იღებდნენ კანონებს, ჭრიდნენ და კერავდნენ რასაც და როგორც უნდოდათ. ამ შემთხვევაში „ქართული ოცნებაც" ზუსტად ისე მოიქცა, როგორც წინა ხელისუფლება.

ერთი საკითხიც გაურკვეველია და ამის შესახებ კანონში არაფერი წერია. იმ პირებს, ვინც 23 წლისა არ არის და იარაღი უკვე აქვს შეძენილი, რას უპირებენ, ჩამოართმევენ? თუ ჩამოართმევენ, ან იარაღის საფასურს ვინ აუნაზღაურებს, ან მორალურ კომპენსაციას? თუ ეს ასე არაა და ვინც ახალი კანონის შემუშავებამდე მოასწრო იარაღის ყიდვა, იმათ შერჩებათ, აქაც ირევა სიტუაცია. რატომ აყენებ მაშინ პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმ ახალგაზრდას, რომელმაც ერთი თვის წინ იყიდა იარაღი და ამის უფლებას რატომ უსპობ მის თანატოლს, რომელიც, დავუშვათ, ფულს აგროვებდა, რომ საოცნებო იარაღი ეყიდა?!

არ შემიძლია, ერთ აბსურდზე არ გავამახვილო იარაღის მფლობელთა ყურადღება. ახალი კანონი მოითხოვს, რომ „იარაღი უნდა ინახებოდეს დაშლილ, განმუხტულ მდგომარეობაში". ეს ყველა სახის იარაღს ეხება, ცეცხლსასროლსაც, სანადირო თოფებსაც, სპორტულ და გაზის პისტოლეტებსაც. კანონში ამის ჩამწერი, ეტყობა, რეალობას ძალიან არის მოწყვეტილი. დავუშვათ, სახლში ვინახავ ცეცხლსასროლ იარაღს დაშლილ მდგომარეობაში. მოულოდნელად ყაჩაღი შემომეჭრა სახლში. რა უნდა ვქნა ამ დროს? ჯერ იარაღი უნდა ავაწყო, მერე მჭიდი ჩავდო, მერე შევაყენო და ამის მერე უნდა მოვიგერიო ყაჩაღი?



18 წლის ახალგაზრდა ამ ქვეყნის სრულუფლებიანი მოქალაქე ხდება, ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო სამოქალაქო მოვალეობას იხდის — არჩევნებში მონაწილეობს. მეტიც, 18 წლის ასაკში ჯარში იწვევენ, შეიძლება ომში მონაწილეობაც მოუწიოს იარაღით ხელში, მაგრამ აი, სანადირო თოფს ვერ იყიდის. წულუკიანის ლოგიკით, მწყრის მოკვლას უფრო „დაბრძენება" სჭირდება, ვიდრე მტერთან ბრძოლას

ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ იარაღის აკრძალვით დანაშაულის რაოდენობა არ მცირდება, ვგულისხმობ, ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილ დანაშაულს. არც ერთი კრიმინალი ე.წ. გაფორმებული იარაღით არ სჩადის დანაშაულს, რადგანაც, ამით დანაშაულის ჩადენის ადგილას, პრაქტიკულად, გვარსა და სახელს ტოვებს და კრიმინალები თუ ასეთი სულელები ჰგონია ხელისუფლებას, ავშენდით და ვერ გაგვიგია. პატარა სტატისტიკას მოვიშველიებ და გეტყვით, რომ, სადაც იარაღი დააკანონეს, ყველგან იკლო დანაშაულმა. ამის ნათელი დასტური ამერიკაა. თავის დროზე, იმ შტატებში, სადაც იარაღის ტარების ნება დართეს მოქალაქეებს, 20-25%-ით იკლო იარაღით ჩადენილმა დანაშაულმა სხვა შტატებთან შედარებით, რადგან პოტენციურ მოძალადეს ეშინოდა, რომ შესაძლო იყო, მსხვერპლიც შეიარაღებული ყოფილიყო. ამის შემდეგ, 2 წლიწადში, ამერიკის შტატების უმეტესობაში დართეს ხალხს იარაღის ტარების უფლება.

იმ კითხვებზე, რომლებიც ზემოთ დავახვავე, მინდოდა ხელისუფლებისგან კომპეტენტურ ადამიანს გაეცა პასუხი. თავდაპირველად შს სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, ნინო გიორგობიანს დავუკავშირდი, მაგრამ მან კომენტარი არ გააკეთა, იუსტიციის სამინისტროს დაუკავშირდი და იქ გაგცემენ ყველა კითხვაზე პასუხსო. იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, მარიამ მსხილაძემ მითხრა, მე კომენტარს ვერ გავაკეთებ და რადგან არასამუშაო დღეა (მას თავდაპირველად შაბათკვირას დავუკავშირდი), ვერც ჩემს ზემდგომებს შევაწუხებ ვინმეს, სხვა დროს, კი ბატონო, როცა მოისურვებთ, მაშინ დაგაკავშირებთ ისეთ პიროვნებას, რომელიც თქვენს კითხვებს ამომწურავად უპასუხებსო.

მოვიდა სამუშაო დღე, ორშაბათიც. მარიამ მსხილაძემ, არამც თუ „ერთ პიროვნებას" დამაკავშირა, საერთოდაც აღარ უპასუხა ჩემს ზარებს. „მესიჯებიც" მივწერე, სადაც ისიც კი ავუხსენი, რომ, თუ კომენტარს არ გააკეთებენ, მაინც გავა მასალა და მათ ინტერესებშია ახსნა-განმარტებების მოცემა. თუმცა, არც ამის შემდეგ შეუწუხებია თავი. ამიტომ მხოლოდ ერთი ვერსიაღა დამრჩა, ყველა იმ კითხვაზე, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, მათ არამცთუ პასუხი არ აქვთ, არც კი უფიქრიათ.

ალბათ, ამ მასალის წაკითხვის შემდეგ მაინც იფიქრებენ პასუხებზე. ჰოდა, „ალია" მაინც ელოდება მათგან ამომწურავ განმარტებებს.

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ტელეკომპანია „დია" დაიშალა




შიდა ქართლის ტელეკომპანია „დია" დაიშალა. ამის შესახებ ინფორმაცია „ფეისბუქში" ტელეკომპანიის გვერდზე ვრცელდება.

„ტელეკომპანია „დია" მთელმა გუნდმა დატოვა, მათ შორის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა, ჟურნალისტებმა, ოპერატორებმა, გადაცემების წამყვანებმა, განვითარების მენეჯერმა, მემონტაჟემ, ტექნიკურმა პერსონალმა, მიზეზი ის სამუშაო ხელშეკრულებები გახდა, რომელიც ტელევიზიის ხელმძღვანელმა მაია ტატულაშვილმა მათ ხელმოსაწერად გადასცა და ულტიმატუმის ფონზე ითხოვდა, დასთანხმებოდნენ იმ პირობებს, რაც მის ინტერესებში შედიოდა, რაზეც მთლიანი გუნდისგან ერთხმად უარი მიიღო", – წერია ტელეკომპანიის გვერდზე. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პროკურატურას ლაშა თორდიასა და მამამისის საქმიანობის შესწავლისკენ მოუწოდებენ



„უფლებადამცველთა გაერთიანება" პროკურატურას აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის ლაშა თორდიასა და მამამისის ვახტანგ თორდიას საქმიანობის შესწავლისკენ მოუწოდებს. გაერთიანების თავმჯდომარის ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, ვახტანგ თორდია 25 პროცენტის მფლობელია შპს „ორიენტში" და 50 პროცენტის შპს „ცისკარში".

როგორც მჟავანაძე აცხადებს, იგი თავისი კომპანიებით, წლებია აქტიურად არის ჩართული თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულ სახელმწიფო და კერძო კომპანიებში. კერძოდ კი, სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტას", „თბილავიამშენის", შპს „თამკერას" და შპს „ენერჯი სერვისის" საქმიანობაში, სადაც როგორც მჟავანაძე ამბობს, ის 2009 წლიდან დღემდე მუშაობს და საკმაოდ სერიოზულ თანხებსაც იღებს.

მჟავანაძის ინფორმაციით, აღნიშნული კომპანიები ყოფილი 31-ე ქარხნის ბაზაზეა შექმნილი და უშუალოდ თავდაცვის სამინისტროს ემსახურება.

„სწორედ თავდაცვის სამინისტროდან მოდიოდა მრავალმილიონიანი შეკვეთები სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკურ ცენტრ „დელტაზე", „თბილავიამშენზე", შპს „თამკერაზე" და შპს „ენერჯი სერვისზე", შემდგომ კი დიდი ალბათობით ეს თანხები მაღალჩინოსნების, თორდიების და სხვათა ჯიბეებში ილექებოდა. ამის თქმის საფუძველს ისიც გვაძლევს, რომ ლევან ბეჟაშვილიდან დაწყებული ლაშა თორდიათი დამთავრებული არც ერთხელ აუდიტის სამსახური არ დაინტერესებულა და არ შეუმოწმებია ამ კომპანიების მუშაობა, რომლებმაც სახელმწიფოდან მრავალმილიონიანი დაკვეთები მიიღეს. აუდიტის სამსახური უნდა დაინტერესებულიყო ამ თანხების მოძრაობით, რამდენად კანონიერად და მიზნობრივად დაიხარჯა ეს ფული. შემოწმება რომ მომხდარიყო, დიდი ალბათობით, იქ სერიოზულ დარღვევებს აღმოაჩენდნენ, რის შემდეგაც აუცილებლად დაისმებოდა ხელმძღვანელი პირებისა და მათ შორის ლაშა თორდიასა და მამამის პასუხისმგებლობის საკითხი. მოვუწოდებთ პროკურატურას დაინტერესდეს ამ კომპანიებისა და თავად თორდიების საქმიანობით, რადგან იკვეთება როგორც სამოხელეო ასევე სხვა სახის სისხლის სამართლის დანაშაულები", – აცხადებს მჟავანაძე. (news.ge)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# მამა ბასილი მკვლელ „ნაციონალებს“ ასახელებს და მათ სასწრაფოდ დაპატიმრებას მოითხოვს



**„ალიას“ გლდანის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა ბასილი მკალავიშვილი ესაუბრა:**

**— მამაო, ქობულეთში მუსლიმანურ სკოლასთან დაკავშირებით დაპირისპირება არ წყდება. დაკლული ღორის თავის გაკვრა საპატრიარქომაც დაგმო და მრევლმაც. თქვენთვის ეს რისი ნიშანი იყო?**

– იმას, რაც ქობულეთში მოხდა, შეიძლება ორი კუთხით შევხედოთ: პირველი, როგორც პროვოკაცია, რათა ურთიერთდაპირისპირება გამოიწვიონ მართლმადიდებლებსა და მუსლიმანებს შორის, ხოლო მეორე, თუნდაც მართლმადიდებელთა პროტესტი, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენთან ყველა იმას აკეთებს, რაც უნდა. აბა, მოდით, მოვსინჯოთ და თურქეთის ქალაქებში გავხსნათ სამრევლო სკოლები, ან ჩვენი რწმენა ვიქადაგოთ, დარწმუნებული ვარ, ცოცხალს არ გამოგვიშვებენ. საქართველოში სამასამდე მეჩეთია, მეტი რაღა საჭიროა, სოკოებივით რომ ამრავლებენ. აჭარელი მუსლიმანების უმრავლესობა თურქული პოლიტიკის გამტარებელია. ყოველივე ამას ხელს უწყობენ ჩვენს მთავრობაში მოკალათებული პიროვნებები. ვაიქართველებმა არც აციეს, არც აცხელეს და განგაში ატეხეს, მათაც არ დააყოვნეს და ქობულეთში ჩავიდნენ, თავისი გაგებით აჩვენეს საქართველოს ხელისუფლებას, რომ მუსლიმანები არ არიან უპატრონონი. საკითხავია, როდის ილახებოდა მუსლიმანთა უფლებები საქართველოში? პირიქით, ყველასთვის ღიაა საქართველოს კარი და სწორედ ამიტომაც ვართ ამ დღეში.

ალბათ, გახსოვთ, თეა თუთბერიძე, როგორ რწყილივით დახტოდა ტელევიზიებში და ეკლესიის ლანძღვა-გინებით იყო დაკავებული. ხელისუფლებას ხმა აქვს ამოსაღები? ღრმად რომ დაფიქრდეს ადამიანი, რეალურად მთელი პარლამენტი დასაშლელია, ვერც ერთი ვერ იქართველებს იქ, საერთოდ ხმაც კი არ აქვთ ამოსაღები, რამეთუ ყოველგვარ ღალატთან წილნაყარნი არიან. ეს სიბინძურე რომ ამოიძირკვოს საქართველოში და შეჩერდეს ბრძოლა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, სასწრაფოდ უნდა დააპატიმრონ ბოკერია – ციხის ბუნტის დროს რვა კაცის მკვლელი.

**— მამაო, სწორედ ხელისუფლების უნიათობის გამო, ხალხი გაუსაძლის მდგომარეობაშია. 23 სექტემბრიდან საპროტესტო აქციები იწყება ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების მოთხოვნით. არაერთი ადამიანისგან მსმენია, აქციაზე კი გავალ, მაგრამ ეკლესიის მხარდაჭერის გარეშე გაგვიჭირდებაო. ხომ არ იცით, რას აპირებენ სასულიერო პირები?**

– გეთანხმებით, ქართველი ხალხი მართლაც გაუსაძლის მდგომარეობაში იმყოფება. ქუჩაში გავლის დროს გული გიკვდება ამდენი გულგატეხილი ხალხის ცქერით, როგორი გასაცოდავებულები დადიან. ეტყობათ, რომ მწარედ არიან მოტყუებულნი; ისევ შიმშილი, სიცივე, უბინაობა, მატერიალური სიდუხჭირე. გასაოცარი ის არის, რომ სააკაშვილი და მისი ბანდა კვლავ ემზადებიან ხელისუფლებაში მოსასვლელად. ამ სამარცხვინო პროცესს მხარს უჭერს მაღალი იერარქიის სასულიერო პირთა გარკვეული ნაწილი. ისინი მრევლს უხსნიან, რომ სააკაშვილი ისევ დაბრუნდება. თქვენ სწორად დამისვით კითხვა, ეკლესია ვის გვერდითაც დადგება, ის გაიმარჯვებს.

სააკაშვილმა თავისი პრეზიდენტობის ბოლო პერიოდში სამასამდე პატიმარი შეიწყალა, რომლებიც მძიმე დანაშაულში იყვნენ მხილებულნი. მათი ნაწილი ისევ ციხეში დააბრუნეს, ხოლო დანარჩენი ნაწილი, გარკვეული ინფორმაციით, საიდუმლო წვრთნას გადის, რამეთუ „ნაციონალური პარტია“ ემზადება სახელმწიფო გადატრიალებისთვის, მაგრამ გარწმუნებთ, ისინი ამას ვერ განახორციელებენ. მართალია, ნაციონალური პარტია ეშმაკთა შესაკრებელია, მაგრამ საბოლოოდ ის ეშმაკიც უფალს ემორჩილება. თუმცაღა პროვოკაციასა და არეულობას შეეცდებიან, დღესაც ცდილობენ ამას. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ მისცა საშუალება „ნაციონალურ პარტიას“ ფეხზე წამოდგომისა და გაძლიერებისა. მე ნამდვილად გული მწყდება, პარლამენტში მოკალათებულია ბევრი უვიცი პიროვნება, კაცის მკვლელებიც კი, რომელთაც ქართველთა ბედი არ აინტერესებთ.

**— მამაო, ვის გულისხმობთ მკვლელებში?**

– კაცის მკვლელები არ არიან? მაგათი მოღვაწეობის პერიოდში რამდენი ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს. გია ბარამიძე, რომელმაც თავისი მინისტრობის დროს ჩვენი ეკლესია დაარბია და მძიმე მარხვაში ღამენათევ მრევლს ხელკეტებით სცემდა, ეს საშინელი პიროვნება ერთი კვირის შემდეგ სვანეთში გაემართა, მშვიდობიან მოსახლეობას ვერტმფრენიდან ჭურვებს უშენდა, რასაც მოჰყვა სავალალო შედეგი, გარდაცვლილთა გვამებზე ქეიფობდა, თავის ამფსონებთან ერთად. სწორედ ამიტომაცაა ხალხი გაღიზიანებული. გამოდის და პარლამენტის ტრიბუნიდან თუ ტელევიზიით მორალს გვიკითხავს, ღია ეთერში უსირცხვილოდ აცხადებდა უცოდველი კრავივით: ჩვენ სვანეთში ხალხი არ დაგვიხოცავს, ყოველივე მოგონილია, იქ

გაგრძელება მე-12 გვერდზე



„გია ბარამიძე გამოდის და პარლამენტის ტრიბუნიდან თუ ტელევიზიით მორალს გვიკითხავს, ღია ეთერში უსირცხვილოდ აცხადებდა უცოდველი კრავივით: ჩვენ სვანეთში ხალხი არ დაგვიხოცავს, ყოველივე მოგონილია, იქ ტერორისტები ავიყვანეთო. ნუთუ იმ დარბაზში ერთიც კი არ აღმოჩნდა, რომ პირში მიეხალა, რა ცოდვა ჩაიდინა. სწორედ ეს ფაქტია დღევანდელი ხელისუფლების უნიათობა, რომ ასეთი საზიზღარი დამნაშავენი მაღალი ეშელონებიდან გველაპარაკებიან“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...




## პარლამენტი აღმასრულებელ ხელისუფლებას მიმართავს

პარლამენტი აღმასრულებელ ხელისუფლებას მიმართავს, საჯარო სამსახურში კონკურსების კანონით განსაზღვრულ ვადებში ჩატარება უზრუნველყოს. აღნიშნულ თემაზე შენიშვნები მთავრობის მისამართით პარლამენტის ბიუროს სხდომაზე გაკეთდა, სადაც კონკურსის ვადის გადაწევასთან დაკავშირებით კიდევ ერთი პროექტის ინიცირება მოხდა. კერძოდ, რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გია ჟორჟოლიანმა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი წარადგინა, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივ თვითმმართველობებში საკონკურსო თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების ვადა სამი თვით გადაიწევს. პროექტის გათვალისწინებით, 2014 წლის 31 ოქტომბრის ნაცვლად, 31 დეკემბერი განისაზღვრება თვითმმართველობების თანამდებობაზე იმ მოხელის დანიშვნის ბოლო ვადად, რომელიც კონკურსის წესით უნდა შეირჩეს.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, „თუკი ამ პრობლემას არ მიეხედა, მოვა დეკემბერი და იტყვიან, კიდევ გადავწიოთ ვადა ორი-სამი თვით და ასე უსასრულოდ გაგრძელდება“. (რეპორტიორი)

## ზუგდიდში ქალბატონი ელექტროშოკის გამოყენებით გაძარცვეს

ზუგდიდში ლევან მეორე დადიანის ქუჩაზე მცხოვრებ ციცინო დანელიას საკუთარ საცხოვრებელ კორპუსთან თავად დაესხნენ და ელექტროშოკის გამოყენებით, ხელჩანთა წაართვეს. დაზარალებულის განცხადებით, მას ჩანთაში 500 ლარი და პირადი დოკუმენტაცია ედო.

ძარცვის ფაქტს შინაგან საქმეთა სამინისტროში ადასტურებენ. მათი ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძარცვას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი...

## „ფირების მიმწოდებლის ვინაობა ჩემთვის ცნობილია“




ლალი მოროშკინა პროკურატურას მიმართავს, სასწრაფოდ დაიკითხოს ეკა კვესიტაძე და მისთვის ფირების მიმწოდებლის ვინაობა დადგინდეს.

„სასჯელაღსრულების სისტემიდან ვიდეო და აუდიომასალის გატანა ისჯება კანონით, რასაც არეგულირებს სსკ შესაბამისი მუხლი. ის, რომ სად-ის სისტემაში საქმე გვაქვს საბოტაჟის აშკარა გამოვლინებებთან, არახალია. შეგახსენებთ, რომ უწყებას ჰყავს ახალი, კვალიფიციური ხელმძღვანელი, ბატონი გიორგი მღებრიშვილი, რომლის დისკრედიტაციისკენ არის მიმართული გარკვეული ქმედებები. შეგახსენებთ, რომ კვესიტაძის გადაცემაში გასული აუდიოჩანაწერები 2013 წლით არის დათარიღებული. ისმის შეკითხვა: ვის ინტერესებშია სისტემის დისკრედიტაცია და ქვეყანაში დესტაბილიზაციის განცდის გაჩენა? პასუხი მარტივია: იმის, ვისაც ჰქონდა წვდომა და ვინც გაიტანა ეს მასალა სასჯელაღსრულების სამინისტროდან. წრე ვიწროვდება და ჩემთვის სურათი ნათელია. მივმართავ პროკურატურას, სასწრაფოდ დაიკითხოს ეკა კვესიტაძე და დადგინდეს ფირების მიმწოდებლის ვინაობა (თუმცა, ჩემთვის ის ცნობილია). სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, ეს არ დაკვალიფიცირდება როგორც ზეწოლა თავისუფალ მედიაზე, არამედ დაგეგმილი საბოტაჟის თავიდან აცილება.

ჩემი ინფორმაციით, შემდეგი ფირი პირდაპირ პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად, რაც მნიშვნელოვნად დააზარალებს ქვეყნის იმიჯს. გვახსოვდეს, რომ ჩვენ ხელი გვაქვს მოწერილი ევროპასთან ასოცირების დოკუმენტზე, რაც თავისთავად არ გამორიცხავს პრევენციული ზომების გატარებას და გვავალდებულებს კანონის უზენაესობას!“, – განაცხადა მოროშკინამ. (რეპორტიორი)

*მეთერთმეტე გვერდიდან*

ტერორისტები ავიყვანეთო. ნუთუ, იმ დარბაზში ერთიც კი არ აღმოჩნდა, რომ პირში მიეხალა, რა ცოდვა ჩაიდინა. სწორედ ეს ფაქტია დღევანდელი ხელისუფლების უნიათობა, რომ ასეთი საზიზღარი დამნაშავენი მაღალი ეშელონებიდან გველაპარაკებიან.

**— სააკაშვილს ქონება დაუყადაღეს. მიგაჩნიათ, რომ ხელისუფლება გადაწყვეტილებებში უკვე შეუვალი გახდა და სამართლიანობის აღდგენა გაგრძელდება?**

– სისხლისმსმელ სააკაშვილს გაუკვირდა მისი ქონების დაყადაღება, ეს მანამდე უნდა მომხდარიყო, რამეთუ მან თითქმის ყველაფერი გაიტანა და საზღვარგარეთ დააბანდა, ეს საქართველოს მძარცველი ეხლა ზის ოკეანის გაღმა და იმუქრება, ჩვენი ერის სალანძღავად დამამცირებელ სიტყვებს არ იშურებს. სააკაშვილისა და მისი მიმდევრების ადგილი მხოლოდ ციხეშია, გისოსებს მიღმა.

მეტად გასაოცარია დღევანდელი პრეზიდენტის ქმედება, მოვიყვან მის სიტყვებს: „მე ჩემი ქვეყნის ოპოზიციაში უნდა ვიყო?...“ ტელევიზიით გამოდის და საქართველოს სიყვარულით დნება, საინტერესოა, სად გაქრა ეს სიყვარული, როცა ქართველ ერს დიაგნოზი დაგვისვა და გონებასუსტებად და დებილებად შეგვრაცხა. ასეთი ფარისევლობა და გარდასახვა საოცარია, თუმცაღა მარგველაშვილი ხომ სოროსის ფონდის დამაარსებელია საქართველოში.

**— არასაპარლამენტო ოპოზიციის დუმილს როგორ აღიქვამთ, ახლა დუმილის დროა? თუ ამოწურეს მათ რესურსი და ხალხისთვის სათქმელი არაფერი აქვთ?**

– ლაპარაკითა და გაუთავებელი ლანძღვით რამე გააკეთეს? მაგათ უმრავლესობას პირადი ცხოვრება აწყობილი აქვს, დაბეჩავებული ისევ ხალხია, დღეს ძალიან გაუგებარი ბურუსია ჩამოწოლილი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ სფეროში. თითქოს ხელისუფლება თუ ოპოზიცია იდუმალებითაა მოცული, მე ვფიქრობ, რომ ეს დუმილი ავის მომასწავებელია. ამასთანავე, აღვნიშნავ, რომ ბევრი ნიჭიერი, მორწმუნე პიროვნება დარჩა პარლამენტსგარეთ. როგორ შეიძლება დიმიტრი ლორთქიფანიძე პარლამენტის მიღმა იყვეს და უჩა ნანუაშვილი – საზღვარგარეთის ლაქია სახალხო დამცველად იჯდეს?

**— მამაო, დიმიტრი ლორთქიფანიძეც ხომ იყო კანდიდატი სახალხო დამცველის თანამდებობაზე, მაგრამ ვერ გავიდა...**

– ამერიკამ და ევროპამ შეიტყო რა, რომ დიმიტრი ლორთქიფანიძე მართლმადიდებლობის უზადო დამცველი იყო, ყველანაირი გზა გამონახეს, რომ დიმიტრი არ გასულიყო, მაგრამ საიდანღაც გამოძებნეს მათთვის სასურველი პიროვნება და დასვეს სექტების უფლებების დამცველი, რომელიც სისტემატურად ეახლება ხოლმე თავის მბრძანებლებს და ანგარიშს აბარებს, აკი ბაიდენი ამბობს: „მე არ მაინტერესებს თქვენი კულტურა, კულტურა აქვს იმ ერს, რომელიც იცავს „ლგბტ“ ორგანიზაციის უფლებებს“.

**— რიგგარეშე არჩევნებს რამდენად შესაძლებლად თვლით? მზადაა საზოგადოება ამისთვის?**

– ფაქტია, რომ ხალხი მომავალი არჩევნებისთვის მზად არ არის, უფრო სწორად, არ აინტერესებს, რამეთუ მათ ყველაფრის იმედი გადაეწურათ. მე კარგად ვიცი საზოგადოების აზრი, რომ მათ აღარავისი აღარ სჯერათ, ეს ჩატარებულმა არჩევნებმაც გვაჩვენა პროცენტული მონაცემების მიხედვით და ის მცირე პროცენტი, რომელიც არჩევნებზე მივიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმი კვლავ არ დაბრუნებულიყო. ჩემო კარგო, ხალხის ნებას ვინ უყურებს, მის გოდებას ვინ უსმენს? მათ მხოლოდ იმისთვის იყენებენ, რომ საარჩევნო უბნებზე მიიყვანონ და ბიულეტენები ჩააყრევინონ, შემდეგ კი მათი ხმები თავისი სურვილისამებრ მართონ. ასი კაციც რომ მივიდეს არჩევნებზე, აცხადებენ, არჩევნები ბრწყინვალედ ჩატარდა ყველაფერი რიგზეაო, რათა თავიანთი კანდიდატურები დასვან. მათ ხელშია კალამი და ფურცელი, რაც უნდათ ის წერონ, ხალხის ბედს კი არას დაგიდებენ.

როგორც სასულიერო პირი, ნაკლებად ვარ ჩახედული საარჩევნო კოდექსში. მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ, პირველ რიგში, შესაცვლელია კანონი. ჩემი აზრით, სულ მცირე, ხუთი პარტიის წარმომადგენლები მაინც უნდა ხვდებოდნენ პარლამენტში დეპუტატებად და არა ისე, როგორც დღესდღეობით ორპარტიული პარლამენტი გვყავს, რომლებიც ერთმანეთს ისე არიან დასეულები, როგორც თხა და მგლები. საოცარი ის არის, რომ მათი დაპირისპირების მიზეზი ქვეყნის ინტერესებიდან არ გამომდინარეობს, არამედ პიროვნულად შეურაცხყოფენ ურთიერთს, უკვე ყველაფერი მოსაბეზრებელია, ყველაფერს აქვს დასასრული, მაგრამ მათ დაპირისპირებას კი – არა. ფიზიკურ შეურაცხყოფასაც კი არ აკლებენ ერთმანეთს. მინდა მივცე ჩემს ერს იმედი, რომ ცოტაც მოვითმინოთ, ღმერთი არ გაგვწირავს, მთავარია, მტკიცედ ვიდგეთ სარწმუნოების დაცვის სადარაჯოზე. სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, არ დავნებდეთ ბელიარს, რამეთუ ის ჩასაფრებულია და ცდილობს, რაიმე შეგვეშალოს, თვით ცდილობს კიდეც, შეგვაშლევინოს, მაგრამ ჩვენ მტკიცე რწმენითა და განუწყვეტელი ლოცვით შევძლებთ ყველაფრის დაძლევას. მთავარია, ვიყოთ შემართებით, მივენდოთ უფალს, მხოლოდ ეს არის ჩვენი გამოსავალი.



„მეტად გასაოცარია დღევანდელი პრეზიდენტის ქმედება, მოვიყვან მის სიტყვებს: „მე ჩემი ქვეყნის ოპოზიციაში უნდა ვიყო?...“ ტელევიზიით გამოდის და საქართველოს სიყვარულით დნება, საინტერესოა, სად გაქრა ეს სიყვარული, როცა ქართველ ერს დიაგნოზი დაგვისვა და გონებასუსტებად და დებილებად შეგვრაცხა. ასეთი ფარისევლობა და გარდასახვა საოცარია, თუმცაღა მარგველაშვილი ხომ სოროსის ფონდის დამაარსებელია საქართველოში“



„ამერიკამ და ევროპამ შეიტყო რა, რომ დიმიტრი ლორთქიფანიძე მართლმადიდებლობის უზადო დამცველი იყო, ყველანაირი გზა გამონახეს, რომ დიმიტრი არ გასულიყო, მაგრამ საიდანღაც გამოძებნეს მათთვის სასურველი პიროვნება და დასვეს სექტების უფლებების დამცველი, რომელიც სისტემატურად ეახლება ხოლმე თავის მბრძანებლებს და ანგარიშს აბარებს“

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

# რატომ აწყობენ „ლგბტ“-ები აშშ-ს საელჩოსთან აქციას?

ელექტრონულ ფოსტაზე შემდეგი შინაარსის შეტყობინება მივიღე: „2014 წლის 25 სექტემბერს, დღის 3 საათზე ამერიკის საელჩოსთან გაიმართება „ლგბტ“ თემის წევრების საპროტესტო აქცია, რომლის მიზანია, გააპროტესტონ ბოლო პერიოდში განხორციელებული ე.წ. „რეიდები“, ანუ პოლიციური კონტროლი, რომლის დროსაც ტრანსგენდერებს უკრძალავენ ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლებას, რაც წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლით გათვალისწინებული კონსტიტუციური უფლების ხელყოფას. პოლიციური კონტროლი თავისი შინაარსიდან და მოქმედებიდან გამომდინარე, წარმოადგენს „ლგბტ“ თემის წევრების დისკრიმინაციას“.

**„ალიას“ „საქართველოს ახალგაზრდული ეროვნული მოძრაობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ლევან რეხვიაშვილი ესაუბრა:**

**— ლევან, „ლგბტ“-ს წარმომადგენლების აქციებს თქვენი ორგანიზაცია აქტიურად უპირისპირდებოდა. აშშ-ს საელჩოსთან რომ აქციას მართავენ 25-ში, ამის შესახებ იცით რამე?**

– ამის შესახებ ცოტა ხნის წინ შევიტყვე, ეს არის მცდელობა იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობას მოახვიონ თავიანთი იდეოლოგია, რასაც ქართველი ხალხი არ შეეგუება არასდროს. მათი უფლებები ისედაც დაცულია საქართველოში, ეს გამოსვლები კი, უბრალოდ, იმას ნიშნავს, რომ კიდევ ერთხელ გამოიწვიონ საქართველოს მართლმადიდებელი მოსახლეობა პროვოკაციაზე. ალბათ, ტელევიზიები გააშუქებენ და ეს სხვა ქვეყანაში დასანახადაცაა გამიზნული, მეტი პრივილეგიების მისაღებად.

**— რაღა მაინცდამაინც ამერიკის საელჩოს წინ, რაზეა გათვლილი?**

– არც არის გასაკვირი, ახლახან ხომ მიიღეს ამერიკაში გეები ჯარში? ეს გამოსვლები ორიენტირებულია იმაზე, რომ ელიან დაფინანსებას. მათ აფინანსებენ გაურკვეველი ფონდებიდან. მაქვს ინფორმაცია, რომ ზოგი მათგანი სულაც არაა „ლგბტ“ პირი, მაგრამ ფულის გამო სამშობლოსა და სულს ყიდის და ნებისმიერ ასეთ აქციას შეუერთდება. მათ აქვთ უფლებები, არიან კანონით დაცულები, ნუ გამოდიან და ნუ გვახვევენ თავს, სახლში რაც უნდათ, ის გააკეთონ. ცოტა ხნის წინ საპატრიარქოსთან შეიკრიბნენ, პატრიარქს შეურაცხმყოფელად იხსენიებდნენ. საქართველო ამ დრომდე მართლმადიდებელმა ეკლესიამ მოიყვანა, და არა ტრანსსექსუალებმა, გეებმა და ასე შემდეგ. ამ ხალხს სჭირდება მკურნალობა, მოვიდნენ ეკლესიაში და დარწმუნებული ვარ, სწორ გზაზე დადგებიან. 25-ში მოაწყონ მანიფესტაცია და ნახავენ საქართველოში ახალგაზრდების ძალას.

**— რატომ გააქტიურდნენ მაინცდამაინც ახლა, საეჭვო მგონია, ამის მიზეზი მარტო მათი დაკავება იყოს რეიდების დროს...**

– რა თქმა უნდა, არაა ეს რეალური მიზეზი. რეიდების დროს მეც გამაჩერეს რამდენიმეჯერ, ზრდილობიანად, ერთი-ორი შეკითხვა დამისვეს და წავიდნენ. როცა დანაშაულს არ სჩადიხარ, არავინ დაგაკავებს. მე თუ მკითხავთ, ეს ე.წ. რეიდები კიდევ მაგათ დასაცავადაა. ჩვენ აუცილებლად მივალთ 25-ში აქციაზე და დავგმობთ ამ აქციას. რა თქმა უნდა, მშვიდობიანად.

**— რა გარანტია გაქვთ, რომ მშვიდობიანად ჩაივლის ყველაფერი, რას გეგმავთ კონკრეტულად?**

– ჩვენი მხრიდან არანაირი პროვოკაცია არ იქნება, ამის პირობას გაძლევთ. საქართველოზე გული ვისაც შესტკივა და აწუხებს, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა დადგეს ჩვენს გვერდით, ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენი ვიქნებით, რადგან ინფორმაცია ახალია, ამიტომ ჩვენი ორგანიზაციის დამფუძნებლები უნდა დავსხდეთ და სამოქმედო გეგმები გავწეროთ, მოვილაპარაკებთ, რა სქემით ვიმოქმედოთ. მაგრამ ერთი ვიცი ზუსტად, საქართველოზე ძალიან ბევრ ახალგაზრდას შესტკივა გული და დარწმუნებული ვარ, ეს ხალხი ჩვენს გვერდით დადგება 25 სექტემბერს. ჯერ 50 კაცის იმედი მაქვს, მაგრამ ვიცი, რომ შემოგვიერთდებიან.



ჟანა ასანიძე
558 00 16 16

## მარკუს მეტრეველმა აღიარა, რომ მეტროსექსუალია



ქართული შოუბიზნესის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა მარკუს მეტრეველმა თავისი ორიენტაცია აღიარა.

– ვაღიარებ!!! მე მეტროსექსუალი ვარ და ვთვლი, რომ ეს ნორმალურია!!! – წერს მარკუს მეტრეველი.

„მეტროსექსუალი“ არის ნებისმიერი სექსუალური ორიენტაციის თანამედროვე მამაკაცი, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საკუთარ გარეგნობას. ტერმინი „მეტროსექსუალობა“ შემოღებულ იქნა 1994 წელს ბრიტანელი ჟურნალისტის მარკომ სიმპსონის მიერ, რომლემაც ამ ერთ სიტყვაში გააერთიანა ორი სიტყვა: metropolitan – ქალაქელი და sexual – სექსუალური.

*newposts.ge*

## „შევაგროვოთ ფული და ვიყიდოთ სანდრა რულოვსის კუთვნილი ბინა... ყველამ ერთად, ჩვენს რძალს ბინა დავუბრუნოთ“



ჩინეთში საქართველოს ყოფილი ელჩი მამუკა გამყრელიძე, რომელიც საზოგადოებამ გადაცემიდან „ვის უნდა 20 000?“ გაიცნო, საქართველოს მოქალაქეებს ყოფილი პირველი ლედის, სანდრა რულოვსის დაყადაღებული ბინის შესყიდვისკენ მოუწოდებს:

– დღეს ბატონ დავით ნარმანიას უთქვამს, რომ მიხეილ სააკაშვილის დაყადაღებული ქონება გაიყიდება, ფული კი ბიუჯეტს გადაეცემა. დიდებული გადაწყვეტილებაა გარღვეული ბიუჯეტის შესავსებად.

მე მინდა საქართველოს ყველა იმ მოქალაქეს, რომელსაც თავმოყვარეობა ბოლომდე არ დაუკარგავს, ღირსებაც და ადამიანობაც შეგვრჩენია, გთხოვოთ, შევაგროვოთ ფული და ვიყიდოთ სანდრა რულოვსის კუთვნილი ბინა. ნუ მოვიჭრით თავს საბოლოოდ. არ აქვს მნიშვნელობა „ენმ“-ს მხარდამჭერები ხართ თუ, უბრალოდ, ღირსეული ადამიანები.

ყველამ ცოტ-ცოტა რომ გავიღოთ, დარწმუნებული ვარ საჭირო თანხას თავს მოვუყრით.



სანდრა ქართველებისაგან არ იმსახურებს სახლიდან გამოძევებას!!! ნუ დავიმცირებთ თავს ასე!!!

„ენმ“-ს ახლად არჩეულ აღმასრულებელ მდივანს, ზურაბ ჯაფარიძეს ვთხოვ, მოახდინოს ამ პროცესის ორგანიზება. დარწმუნებული ვარ, ბევრნი ვიქნებით. პირველი მე ვარ მზად, ჩემი წვლილი შევიტანო ამ საქმეში. მოდით, ყველამ ერთად ჩვენს რძალს ბინა დავუბრუნოთ, – წერს გამყრელიძე „ფეისბუკის“ გვერდზე.

*gurianews.com*

## სოფო ნიჟარაძე სააკაშვილის მიერ შეძენილ ბინაზე პირველ კომენტარს აკეთებს



გავრცელებული ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილმა მომღერალ სოფო ნიჟარაძეს რამდენიმე კვირის წინ სიურპრიზი გაუკეთა და ამერიკაში სახლი უყიდა.

ბინა, რომელიც სააკაშვილმა ნიჟარაძეს აჩუქა, მანჰეტენზე 42-7 ქუჩების კვეთაზე მდებარეობს – განუცხადა ამბები.გე-ს კონფიდენციალურმა წყარომ. ნიჟარაძის ახლობლის განცხადებით, სააკაშვილმა საცხოვრებელ ბინაში 2 მილიონი დოლარი გადაიხადა.

ინფორმაციის საპასუხოდ, სოფო ნიჟარაძემ „ფეისბუკზე“ თავისი საცხოვრებელი ბინის ფოტო გამოაქვეყნა და შემდეგი შინაარსის სტატუსი დაწერა:

– ეს არის ის „ორმილიონიანი“ 15 კვადრატული მეტრის სიდიდის ოთახი, რომელშიც ამჟღრად ვიმყოფები ამერიკაში, ერთი პატარა სტუდიოა, ერთ ჩვეულებრივ სახლში, რომელსაც ვქირაობ!



თუმცა, ალბათ, ის თანხა, რომელიც აბსურდული სტატიის შეკვეთაში გადაიხადეს, ნამდვილად მაცხოვრებდა ერთი წელი უდარდელად მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, ბინაც მომივიდოდა, – წერს მომღერალი.

*reitingi.ge*

## მაკა ჩიჩუას ფეხმძიმობის ამსახველი პირველი ფოტოები – პრეზიდენტი შვილის მოლოდინში



პრეზიდენტი მცირე პაუზის შემდეგ მეუღლესთან ერთად გამოჩნდა. ჯერ სასახლეში სიმსივნით დაავადებულ ბავშვებს უმასპინძლა, შემდეგ კი, მაკა ჩიჩუასთან ერთად თუმანიშვილის თეატრში სპექტაკლ „ჰელადისს“ დაესწრო.

თეატრში სტუმრობისა და ბავშვთან მასპინძლობის ამსახველი ფოტოები გიორგი მარგველაშვილის „ფეისბუკის“ ოფიციალურ გვერდზე დაიდო.



ფოტოები ყურადღებას იმით იქცევს, რომ კარგად ჩანს, მაკა ჩიჩუას ფეხმძიმობა. ამ დრომდე ოფიციალურად არ დასტურდებოდა, რომ პრეზიდენტი ბავშვს ელოდება. ეს მაკა ჩიჩუას პირველი ფოტოებია, სადაც მისი ფეხმძიმობა ჩანს.

დავა იმის შესახებ, ვინა არის საქართველოში პირველი ლედი – პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მეუღლე ნუნუკა თამაზაშვილი, თუ მაკა ჩიჩუა, ალბათ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

*reitingi.ge*

## რუსა ჩაჩუამ ჯვარი ჩუმად დაიწერა – „დიმა ჩემზე 12 წლით უფროსია“



ტელეწამყვანის „ფეისბუკზე“ ქორწილის ფოტოები ახლახან დაიდო. თუმცა რუსამ დიმა ნაფეტვარიძეზე ჯვარი 7 სექტემბერს დაიწერა. მერე საქორწინო მოგზაურობაში იყვნენ.

– დიმა ჩემზე 12 წლით უფროსია. წლების განმავლობაში მოსკოვში ცხოვრობდა და მუშაობდა. ახლა თბილისშია. ჩვენ ორი წელია ერთად ვცხოვრობთ, – ამბობს რუსა ჩაჩუა.

რუსა უკვე დიდი ხანია, რაც მეუღლეს, არჩილ სახვაძეს გაშორდა, რომელთანაც ორი შვილი – თაზო და ნასტია ჰყავს.



მოგვიანებით მისი რჩეული კომპანია „კაპიტალ ვოსტოკის“ დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი, დიმა ნაფეტვარიძე გახდა.

რუსა და დიმა დიდი ხანია, შეყვარებულები არიან. ერთი პერიოდი მათ ურთიერთობას ბზარიც კი გაუჩნდა და დაშორდნენ, მაგრამ, მალევე შერიგდნენ და ურთიერთობის ახალ, სერიოზულ ეტაპზე გადავიდნენ.

*primetimenews.ge, reitingi.ge*

## ინგა გრიგოლია: „შეგრჩებათ ე.წ „სვეტსკურ-ელიტური“ მაყურებელი და ხალხისგან ისე შორს იქნებით, როგორც ცა და დედამიწა“



ტელეწამყვანი ინგა გრიგოლია „ფეისბუკის“ პირად გვერდზე „უცნობის“ კონცერტზე დასასწრებ ბილეთებთან დაკავშირებით საკუთარ მოსაზრებასავრცელებს.

– საბოლოოდ მივხვდი, „იუმორინას“ და „კომედი ჯგუფის“ კონცერტების გარდა, თითქმის რატომ არ დადის ხალხი ასე მასობრივად არც ერთ კონცერტზე. მინდოდა, ჩემი მეგობრებისთვის საჩუქარი გამეკეთებინა და გადავწყვიტე, უცნობის კონცერტის ქვესი ბილეთი მეყიდა. ნუ, ფასები დამხვდა ისეთი, აღარ ვიყიდე. ყველაზე ცუდი ადგილები 50 ლარიდან იწყებოდა. საშუალო ფასი – 100 ლარი და ზევით. დაადეთ ეს ფასები ამ გაჭირვებულ ქვეყანაში ბილეთებს და მერე ნუღა იწუწუნებთ, რატომ არ დადის ხალხი კონცერტებზე.... შეგრჩებათ ე.წ „სვეტსკურ-ელიტური“ მაყურებელი და ხალხისგან ისევე შორს იქნებით, როგორც ცა და დედამიწა, – წერს გრიგოლია.

*pia.ge*

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03



ქართველმა ბავშვებმა იმაიმუნეს და სან-ხოსეს ერთ-ერთი სკოლის შენობაში სამი გოჭი შეუშვეს, თან თითოეულს საღებავით ნომრები წააწერეს: 1, 2 და 4...

მომდევნო თვეების მანძილზე სან-ხოსეს პოლიციის მთელი შემადგენლობა ეძებდა გოჭს, ნომრით: 3...

*****

ლექცია სამედიცინო ინსტიტუტში. თემა: „სექსუალური ანომალია“. პროფესორი:

– ცნობილია შემთხვევა, როდესაც ერთმა ქალმა 130 ორგაზმი ერთი სქესობრივი აქტის დროს განიცადა...

აუდიტორიიდან ბიჭების მუდარით სავსე ხმამ იგუგუნა:

– პროფესორო, გაგვიმხილეთ იმ ქალის ვინაობა!

ბიჭების გუგუნი გოგოების კივილმა გადაფარა:

– პროფესორო, ახლავე გვითხარით იმ მამაკაცის ვინაობა!!!

*****



მასწავლებელი მოსწავლეს ეკითხება:

– კოტე, როგორ ფიქრობ, კიდობანში ყოფნის დროს ნოე ბევრს თევზაობდა?

– არა, მასწ, – მას ხომ მხოლოდ 2 ჭიაყელა ჰყავდა...

*****

– რა განსხვავებაა უბრალო მეგობარსა და ნამდვილ მეგობარს შორის?

– უბრალო მეგობარი დაგეხმარებათ ავეჯის გადატანაში, აი, ნამდვილი მეგობარი კი გადაგატანინებთ გვამს!..

*****

ერთი გლეხი მეორე გლეხს ესტუმრა:

– შენა, რატომ აცვია ამ მამალს შარვალი?

– რა იყო, იცი? ცოლმა შემთხვევით მდუღარე წყალი გადაასხა, კურტუმოზე ბუმბული სულ გასცვივდა და რომ არ გაციებულიყო, შარვლის ჩაცმა მოგვიხდა.

– მერე, აღარ ამოუვიდა ახალი ბუმბული?

– კი, როგორ არა, მაგრამ ისეთი სასაცილო საყურებელია, როცა ცალი ფეხით დედალს იჭერს, მეორეთი კი – შარვალს იხდის, აღარ გავხადეთ!..

*****

– გოგოებო, საყვარლებო და ძვირფასებო! რამდენჯერ-ღა უნდა გაგიმეოროთ?! მენუეტი – ცეკვაა, ცეკვა!!!

*****

– მამიკო, რა მოხდება, თუ პრეზერვატივი გაიხევა?

– შენს თავს შეხედე!..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

## მათემატიკის შესწავლაში მსურველებს... ელექტროშოკით დაეხმარებიან?!




წარუმატებლობა მათემატიკაში დღემდე ჰუმანიტარული საგნების ცოდნით კომპენსირდება, თუმცა სამომავლოდ ეს პრობლემა მოგვარდება. მართალია, ძალიან უცნაური გზით, მაგრამ მთავარია, რომ მოგვარდება და მორჩა.

ბრიტანელ მეცნიერებს თუ დავუჯერებთ, მათემატიკის მიმართ „მეორე სუნთქვის“ გახსნა თავის ტვინის უმტკივნეულო და უსაფრთხო ელექტრომუხტით სტიმულირებით შეიძლება. ამასთანავე, ელექტრომუხტი უნდა გატარდეს ტვინის კონკრეტულ ნაწილში, რომელიც მათემატიკური უნარ-ჩვევების გამომუშავებაზეა პასუხისმგებელი.

როგორც ირკვევა, ეს, ცოტა არ იყოს, საეჭვო მეთოდი ოქსფორდის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა გამოიგონეს და თურმე, მისი ეფექტურობა ექსპერიმენტების დახმარებითაც გაამყარეს.

მათი განმარტებით, თავის ტვინში არსებობს პარიეტარული ნაწილები, რომელთა მოვალეობაც წერა-კითხვის, სივრცეში ორიენტაციისა და აზროვნების სტიმულირებაა, თუმცა ზოგ შემთხვევაში პროცესები ხარვეზებით მიმდინარეობს და შესაბამისად, გარკვეული უნარ-ჩვევების გამომუშავებას ადამიანი სრულყოფილად ვერ ახერხებს.



ტვინის სწორედ ასეთი ნაწილების ელექტროშოკით სტიმულაციით ბრიტანელმა მეცნიერებმა რამდენიმე ათეულ სტუდენტს საჭირო დახმარება აღმოუჩინეს და მათემატიკური აზროვნება განუვითარეს.

დაინერგება თუ არა მათემატიკური უნარ-ჩვევების გამომუშავების ასეთი მეთოდი, რთული სათქმელია, თუმცა სახლის პირობებში მსგავსი ექსპერიმენტების ჩატარებას ნამდვილად არ გირჩევთ.

***redtram.com***

## ბიოლოგებმა კანის უჯრედების სისხლად გადაქცევა ისწავლეს



იმის გათვალისწინებით, რომ დონორთა სისხლი მსოფლიოს ბევრი კლინიკისთვის ნამდვილი ფუფუნებაა, კანადელი მეცნიერების მიღწევა მით უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია.

როგორც ირკვევა, მაკ-მასტერის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა ადამიანის სისხლის უჯრედების მიღება კანის ქსოვილებისგან შეძლეს.

– კანის ქსოვილის გადამუშავების შედეგად მიღებული სისხლი, ფაქტობრივად, ბუნებრივის იდენტურია, – განმარტავენ აღმოჩენის ავტორები, თუმცა განსხვავება მაინც არსებობს – კანისგან მიღებული სისხლი ჩვეულებრივისგან განსხვავებით ნაკლები რაოდენობით ჰემოგლობინს გამოყოფს, თუმცა კანადელი მეცნიერები იმედს გამოთქვამენ, რომ ამ ფაქტის გამოსწორებას უახლოეს მომავალში შეძლებენ.

ცნობილი ხდება ისიც, რომ ექსპერიმენტების ფარგლებში ხელოვნური სისხლი უკვე გადაესხა რამდენიმე მოხალისე პაციენტს და რომ პროცედურას არავითარი გართულება არ მოჰყოლია.

***bezpontow.ru***

## თვითმფრინავის მგზავრმა შემთხვევით კატაპულტირების ღილაკს დააჭირა და...



საბედნიეროდ, გადარჩა...

პილოტის განმარტებით, მგზავრი, რომელიც მასთან ერთად თვითმფრინავში საკმაოდ რთული საჰაერო ტრიუკის შესრულებისას იმყოფებოდა, წონასწორობის დასაცავად, ხელჩასაჭიდს ეძებდა და კატაპულტირების ღილაკს ხელი სრულიად შემთხვევით დააჭირა, რასაც, ცხადია, მისი გააქტიურება მოჰყვა.

თურმე, დაუდევარი მგზავრი თვითმფრინავიდან 100 მეტრის სიმაღლეზე ავარდნილა, თუმცა, როგორც უკვე გითხარით, მიწაზე ტრავმების გარეშე დაეშვა – კატაპულტირებას პარაშუტის გახსნა ავტომატურად მოჰყვა. ერთი ის არის, რომ იგი აეროპორტიდან საკმაოდ მოშორებით აღმოჩნდა და დანიშნულების ადგილამდე მის მიყვანას სამაშველო ვერტმფრენის გამოძახება დასჭირდა.

– ეს იყო ადრენალინის ზღვა. ძალიან შევშინდი, მაგრამ მთავარია, რომ ცოცხალი ვარ, – გახარებული ამბობს კეიპტაუნელი მამაკაცი.

***lenta.ru***

## ამერიკელების ახალი იარაღი მტრის ინტელექტს გაანადგურებს



პენტაგონის დაკვეთით, ამერიკელი მეცნიერები ისეთი იარაღის შექმნაზე მუშაობენ, რომელიც ტვინზე ქიმიური ზემოქმედების დახმარებით მოწინააღმდეგის აზროვნების ეფექტურობას შეასუსტებს. უფრო ადვილად გასაგები ენით რომ ვთქვათ, ამერიკელები ქმნიან იარაღს, რომელიც მათ მოწინააღმდეგეს დააშტერებს და გამოათაყვანებს და ტვინის შემოქმედებითი პოტენციალის გამოყენების საშუალებას მოუსპობს.

წინასწარი ინფორმაციით, საუბარია არა მხოლოდ ქიმიურ ნივთიერებებზე, არამედ სპეციალურ დანადგარებზე, რომელიც ტვინზე ზემოქმედებისთვის ადამიანებს დაასხივებს.

ცნობილია, რომ გასულ თვეში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების კვლევითი ლაბორატორიის 711-ე განყოფილებამ, რომელიც ადამიანის შესაძლებლობების შესწავლაზე მუშაობს, განაახლა კონკურსი სამეცნიერო გამოგონებების პროგრამისთვის: „მიღწევები ბიოლოგიურ მეცნიერებაში მფრინავების ნაყოფიერი მუშაობის ასამაღლებლად“. აღნიშნული პროგრამა უკვე 6 წელია არსებობს და მასზე პენტაგონს დაახლოებით 49 მილიონი აშშ დოლარი აქვს დახარჯული. მიზანი სამხედრო საქმეში ნევროლოგიისა და ბიოტექნოლოგიების მიღწევების დანერგვაა, თუმცა ამერიკის თავდაცვის სამინისტროს სხვა მრავალი პროგრამისგან ეს კონკრეტული მიმართულება იმით განსხვავდება, რომ ეხება ტვინის მუშაობის ძალიან დელიკატურ სფეროებს და ასევე, ადამიანის კონტროლს.

პროგრამის ერთ-ერთი პროექტი, მაგალითად, გულისხმობს ისეთი ტექნოლოგიების დანერგვას, რომელიც საბრძოლო დავალებაზე გაშვებული მფრინავების კონცენტრაციას მხოლოდ სამიზნის განადგურებისკენ მიმართავდა. კიდევ ერთი პროექტის მიზანია ისეთი ტექნოლოგიის გამოგონება, რომელიც სპეცრაზმს ადამიანების მრავალრიცხოვანი ჯგუფიდან ისეთების გამოვლენაში დაეხმარება, ვინც რეალურ საფრთხეს წარმოადგენს.

თუმცა, ყველაზე უფრო უცნაური და შემზარავი სწორედ თავში ნახსენები პროექტია, რომლის მიზანიც მტრის ინტელექტუალური შესაძლებლობების შორი მანძილიდან განადგურებაა.

***rnd.cnews.ru***

## შვილის აყვანის შემდეგ, ქალს რძე გამოუმუშავდა



მსგავსი შემთხვევები მედიცინაში წარსულშიც დაფიქსირებულა, თუმცა ამ საოცარი ფენომენის საიდუმლოების ამოხსნას სპეციალისტები დღემდე ვერაფრით ახერხებენ.

რუსული მედიის ინფორმაციით, გასაოცარი და ამოუხსნელი შემთხვევა ვორონეჟის ოლქის ერთ-ერთ სოფელში გამოვლინდა – მას შემდეგ, რაც 29 წლის ირინა სვეტიკოვამ 7 თვის ბავშვი აიყვანა, უეცრად მკერდში რძეც ჩაუდგა.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ახალგაზრდა ქალში დედობრივი გრძნობა იმდენად იყო განვითარებული, შესაძლოა, რძის ფორმირება ამ ფაქტს უკავშირდებოდეს, თუმცა, როგორც უკვე გითხარით, ფენომენის ახსნას თანამედროვე მეცნიერება, უბრალოდ, ვერ ახერხებს.

***mama-rebenok.ru***

## ინდოელი მამაკაცის თირკმლებიდან 17 ათასი კენჭი ამოიღეს



თირკმლებში აღმოჩენილი კენჭები რომ ძვირფასი ქვების რიცხვს მიეკუთვნებოდეს, არ აშენდებოდა დანრაჯ ვადილი? აშენდებოდა და მერე როგორ, რადგან ამ 45 წლის ინდუსს ექიმებმა თირკმლებიდან 17 ათას 200 კენჭი ამოაცალეს.

ინდური მედიის ინფორმაციით, დიდი ხნის მანძილზე დანრაჯ ვადილის ცხოვრება ჯოჯოხეთად იყო ქცეული. გარდა იმისა, რომ მას ტკივილებისგან სული ჰქონდა გამწარებული, მუდმივად შეუძლოდ ყოფნის გამო იძულებული გახდა, სამსახურიდანაც გამოქცეულიყო. საბოლოო ჯამში, ექიმებმა პაციენტს დიაგნოზი დაუსვეს და ოპერაციაც წარმატებით ჩატარდა.

საინტერესოა, რომ ამ მხრივ წინა რეკორდიც ინდოეთში იყო დამყარებული. კერძოდ, რამდენიმე წლის წინათ ქირურგებმა კიდევ ერთ პაციენტს თირკმლებიდან 14 ათას 98 კენჭი ამოაცალეს.

***gazeta.ua***

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

რეკლამა: 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge





1. „ქვევრი“ ეროსი მანჯგალაძე
2. მხ/ფ „... ჭაბუკი“
3. ხორბლის შესანახი შენობა
4. სანელებელი
5. ადგილი, სადაც 1121 წელს დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკები დაამარცხა
6. ჭადრაკში: ... დაცვა
7. სომხური გვარის ნაწილაკი
8. მსახიობი ... ბრანდო
9. მილოშ ფორმანის ფილმი მოცარტზე
10. ძვირფასი წითელი ქვა
11. ნიდერლანდის დედაქალაქი
12. ტილ ...
13. ხორბლის გალეწილი თავთავები
14. თვითმფრინავის ბორბალი
15. ზღაპრის გმირი: პატარა ბიჭუნა
16. საკვების ენერგიის ერთეული
17. „თოჯინები იცინიან“ პერსონაჟი
18. გამოუწვავი აგური
19. ქედი რუსეთში
20. მსახიობი ... დიტრიხი
21. ცოდვების გამოსყიდვის ფურცელი
22. ანდამატი
23. ანიმაცია, ანუ ...
24. ეთერზეთოვანი მცენარე
25. კომეტა. დედამიწას უახლოვდება 76 წლიწადში ერთხელ
26. საღეჭი რეზინი
27. მსახიობი ჟან-პოლ ...
28. მსახიობი ... ჯიგარხანიანი
29. ქალაქი იტალიაში
30. ჰომო-საპიენ-სის წინაპარი
31. მომღერალი ... მარტინი
32. ძალიან ნიჭიერი ბავშვი
33. რუსი მხედართმთავარი
34. სიმსივნის ფორმა
35. სინთეზური ბოჭკო
36. ცისარტყელას ქალღმერთი
37. ხელოვნური ვარცხნილობა
38. რისგან აკეთებენ ყველს
39. მომღერალი ... პავლიაშვილი
40. ნიშნავს ჩირქოვანს
41. უჯრედშორისი სითხე
42. მწერალი ... პირანდელო
43. მეფეთა სასახლე საფრანგეთში
44. უნაყოფო ნიადაგი
45. შექსპირი. „მეფე ...“
46. ძველი ასურეთის დედაქალაქი
47. მოუხარშავი
48. ჟიულ ვერნი. „საიდუმლო ...“
49. მხ/ფ „... 11 მეგობარი“
50. დადებითი ელექტროდი
51. საერთო სახალხო გამოკითხვა
52. მთაგრეხილი, ანუ ...
53. დიდი კენჭი
54. მხ/ფ „წარსული ზაფხული“ ჯაფარიძე
55. მომღერალი თამარ ...
56. ძვირფასი ქვა
57. კურორტი საქართველოში
58. ბრინჯაო
59. ტკბილეულის მოყვარული
60. რეჟისორი ალფონსო ...
61. ბიბლიური მოსეს ძმა
62. ებრაული რიტუალ. ხმიადი
63. ვულკანი სიცილი-აზე
64. მწერალი ერნესტ ...
65. მომღერალი მირეი ...
66. იტალიის დედაქალაქი
67. ქართ. ანბანის ბოლო ასო
68. მდინარე აღმ. საქართ.
69. ყაიმი
70. მწვანე ძვირფასი ქვა
71. „ნატვრის ხე“ პერსონაჟი
72. მხ/ფ „... აყვავდა ხუში“
73. მსახიობი ... ფლინი
74. ხანა, ეპოქა
75. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
76. ქალაქი იაპონიაში
77. ქართ. ხალხური ზღაპარი
78. ხაფანგი
79. ... ანანიაშვილი
80. მისი დედაქალაქია რაბატი
81. უღელტეხილი კავკასიონზე
82. გულის მთავარი სისხლძარღვი
83. სირაქლემას სახეობა
84. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
85. სოფოკლეს ტრაგედია
86. საწვავი სითხე
87. ტომრის ფორმის საფულე
88. ბუდისტი მასწავლებელი
89. ბგერის გრაფიკ. გამოსახულება
90. ცეცხლის დასანთები წვირი
91. ქართ. სუფრის ხელმძღვანელი
92. მომღერალი ... ჩარლზი
93. კავშირებითი სიტყვა
94. გრძელი ხალიჩა
95. რძის პროდუქტი
96. მხ/ფ „... თუთაშხია“
97. ძვ. რომაული სამოსი
98. შიიზმის მიმდევარი
99. ზღვის ძუძუმწოვარი
100. ძვირფასი ლითონი
101. მისი დედაქალაქია ბუქარესტი
102. ტბა პერუში
103. მსახიობი ... ბანდერასი
104. „მე, ბებია, ილიკო და ...“
105. დროის საზომი მექანიზმი
106. რეჟისორი ლეონიდ ...
107. მსახიობი სილვესტერ ...
108. პირველი კოსმონავტი
109. ფეხბურთის მატჩის შედეგი
110. ძვ. თბილისური მიმართვა
111. მსახიობი ... ნოლტი
112. ფაშვის წვნიანი
113. ტყის მასივი ციმბირში
114. კურორტი ბულგარეთში
115. მაღაზია, ანუ ...
116. მწერალი ... ჩეხოვი
117. გემის ტუალეტი
118. ქალაქი აფხაზეთში
119. ავსული გერმან. ზღაპრებში
120. დროშა
121. მსახიობი ჟან ...
122. ფილიპინების დედაქალაქი
123. ყვავილი
124. ავსტრიის დედაქალაქი
125. მსუბუქი არშიყი
126. ... კუზანოვი
127. მდინარე საფრანგეთში
128. ზამბახი
129. ჟაკ-... კუსტო
130. მსახიობი ... ტაილერი
131. ყმაწვილი ცვილის ფრთებით
132. მსახიობი ... მარტინი
133. ფუტკრების სახლი
134. გემების სარემონტო ადგილი
135. გადაშენებული ფრინველი
136. ზღვის ფრინველის სკორე
137. მწერლები ... და პეტროვი
138. ქალაქი საფრანგეთში
139. მშობიარობის დამხმარე
140. მსახიობი ... კემპბელი
141. „მატრიცა“ ჰაკერი
142. ერთი მომღერლის პარტია
143. მსახიობი ... ბროსნანი
144. ნასესხები ფული

პასუხები: 1. სამჭკუაშვილი; 2. საბუდარელი; 3. ბელელი; 4. მარილი; 5. დიდგორი; 6. სიცილიური; 7. ტერ; 8. მარლონ; 9. „ამადეუსი“; 10. ლალი; 11. ამსტერდამი; 12. ულენშპიგელი; 13. ნამჯა; 14. შასი; 15. ცეროდენა; 16. კალორია; 17. რეზიკო; 18. ალიზი; 19. ურალი; 20. მარლენ; 21. ინდულგენცია; 22. მაგნიტი; 23. მულტიპლიკაცია; 24. ლავანდა; 25. ჰალეი; 26. „დიროლი“; 27. ბელმონდო; 28. არმენ; 29. ფლორენცია; 30. ნეანდერტალელი; 31. რიკი; 32. ვუნდერკინდი; 33. კუტუზოვი; 34. კისტა; 35. ნეილონი; 36. ირიდა; 37. პარიკი; 38. რძე; 39. სოსო; 40. პიო; 41. ლიმფა; 42. ლუიჯი; 43. ვერსალი; 44. ეწერი; 45. ლირი; 46. ნინევია; 47. უმი; 48. კუნძული; 49. ოუშენის; 50. ანოდი; 51. რეფერენდუმი; 52. ქედი; 55. ქვა; 54. ელიკო; 55. გვერდწითელი; 56. ამეთვისტო; 57. ჯავა; 58. რვალი; 59. მსუნაგი; 60. არაუ; 61. აარონი; 62. მაცა; 63. ეტნა; 64. ჰემინგუეი; 65. მატიე; 66. რომი; 67. ჰაე; 68. ლიახვი; 69. ფრე; 70. ზურმუხტი; 71. ელიოზი; 73. ეროლ; 74. ერა; 75. მისური; 76. ნაგასაკი; 77. „მუჭანახევარა“; 78. მახე; 79. ნინო; 80. მაროკო; 81. მამისონი; 82. აორტა; 83. ემუ; 84. ონდატრა; 85. „ანტიგონე“; 86. ნავთი; 87. ქისა; 88. გურუ; 89. ასო; 90. ასანთი; 91. თამადა; 92. რეი; 93. რომ; 94. ფიანდაზი; 95. ხაჭო; 96. დათა; 97. ტოგა; 98. შიიტი; 99. კაშალოტი; 100. ოქრო; 101. რუმინეთი; 102. ტიტიკაკა; 103. ანტონიო; 104. ილარიონი; 105. საათი; 106. გაიდაი; 107. სტალონე; 108. გაგარინი; 109. ანგარიში; 110. ტრო; 111. ნიკ; 112. ხაში; 113. ტაიგა; 114. ვარნა; 115. მარკეტი; 116. ანტონ; 117. გალიუნი; 118. გაგრა; 119. ტროლი; 120. ალამი; 121. მარე; 122. მანილა; 123. ვარდი; 124. ვენა; 125. ფლირტი; 126. ივა; 127. რონა; 128. არისი; 129. ივ; 130. ლივ; 131. იკაროსი; 132. სტივ; 133. სკა; 134. დოკი; 135. მაო; 136. გუანო; 137. ილფი; 138. ჰავრი; 139. მეანი; 140. ნივ; 141. ნეო; 142. სოლო; 143. პირს; 144. ვალი. იკითხება: კოდალა.

## ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);


გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

მეუღლე ჟუჟუნა ბოჭორიშვილი, შვილები მარინა, ნანა, ხათუნა შენგელიები, შვილიშვილები ნატა, უნა შარაშენიძეები, ანი, ნათია მაჭავარიანები, თამი კიკნაძე, სიძეები ოკა კიკნაძე, ბობა შოშიტაიშვილი, ზიკო ხუროძე, გიგა უდესიანი, შვილთაშვილები ბადრი და ანასტასია შოშიტაიშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გივი შენგელია**

**პანაშვიდი:** 23; 24 სექტემბერს, 17 საათზე;
**მისამართი:** ვაჟა-ფშაველას გამზ. 47/2, V სადარბაზო;
**გამოსვენება:** 25 სექტემბერს, 15 საათზე საბურთალოს მაცხოვრის ამაღლების სახელობის ეკლესიიდან.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ იზიარებენ თქვენს მწუხარებას

## ალკოჰოლი ნებისმიერ ნარკოტიკზე საშიშ და დამღუპველ ნივთიერებად აღიარეს



კარგი იქნებოდა, თუკი ალკოჰოლის ტრფიალები ბრიტანული სამედიცინო ჟურნალის „ლენსეტის“ მიერ შედგენილ რეიტინგს გაითვალისწინებდა, რადგან მასში საკმაოდ მოულოდნელ ფაქტს გადააწყდებოდა. კერძოდ, ჟურნალის მიერ სპეციალურად დაქირავებულმა მედიკოსებმა დაადგინეს, რომ ალკოჰოლი ნებისმიერ ნარკოტიკზე ბევრად საშიში ნივთიერებაა და შეუძლია ადამიანის დამონება, განადგურება და ბოლოს, მოუსვლელში გასტუმრება.

საინტერესოა, რომ „ლენსეტის“ მიერ ორგანიზებულ კვლევას სათავეში ნარკოტიკების საკითხებში დიდი ბრიტანეთის მთავრობის ყოფილი მრჩეველი, პროფესორი დევიდ ნატი ედგა სათავეში, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა 20 ნივთიერების 16 პარამეტრის მიხედვით კლასიფიცირება და იმ ზიანის შეფასება, რომელსაც იღებს არა მხოლოდ ამ ნივთიერებების მომხმარებელი, არამედ მისი გარშემომყოფი ადამიანებიც. თითოეული ნივთიერება იღებდა ქულათა კონკრეტულ რაოდენობას მიჩვევისა და ფსიქოლოგიური და ფიზიკური ჯანმრთელობის განადგურების მიხედვით. გარდა ამისა, ქულების მინიჭება ხდებოდა თითოეული ნივთიერების გავლენით ჩადენილი დანაშაულების რაოდენობის გათვალისწინებითაც.

ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყველაზე სახიფათო ყველა ზემონახსენები პარამეტრის მიხედვით, არის სწორედ ალკოჰოლი, რომელსაც ლიდერობა ვერც ერთმა სხვა მავნე ნივთიერებამ, უბრალოდ, ვერ ჩამოართვა.

მეორე ადგილზეა ჰეროინი, მესამეზე კი – კრეკი.

საინტერესოა ისიც, რომ თამბაქომ და კოკაინმა თითქმის ერთნაირი ქულები დაიმსახურეს, რეიტინგის მომდევნო საფეხურები კი გადაინაწილეს: ექსტაზიმ, ელესდემ და ჰალუცინოგენურმა სოკოებმა, ნივთიერებებმა, რომლებიც, ექსპერტთა აზრით, ალკოჰოლზე 8-10-ჯერ ნაკლები ზიანის მომტანია.

*dr-serbskij.livejournal.com*

## ჭარბი წონის დამარცხებაში მანდარინი დაგეხმარებათ

რამდენადაც ცნობილია, ზოგადად, ციტრუსები სახელგანთქმულია ვიტამინების შემადგენლობით, რისი გათვალისწინებითაც ამ ცოტა ხნის წინ სამხრეთ კორეელმა დიეტოლოგებმა მანდარინის ახალი თვისებები აღმოაჩინეს.



როგორც ირკვევა, მანდარინის რეგულარული მიღება ამცირებს მუცლის გარშემოწერილობას, ასუფთავებს ღვიძლს და ასევე, ხელს უშლის ასაკობრივი გონებრივი შესაძლებლობების დაქვეითებას.

კორეელი სპეციალისტების ასეთი მოსაზრება ექსპერიმენტების შედეგებითაა გამყარებული. კერძოდ, 9 კვირის განმავლობაში ისინი ჭარბი წონის მქონე 30 მოხალისეს მანდარინის კონცენტრატის ინექციას უკეთებდნენ. 2 თვის გასვლის შემდეგ მათი მუცლის ცხიმოვანი უჯრედების მოცულობა მთელი 60 პროცენტით შემცირდა.

აღნიშნული აღმოჩენის გათვალისწინებით, კორეელი მეცნიერები სამომავლოდ მანდარინის საფუძველზე დამზადებული დიეტური სასმელის გამოშვებას აპირებენ, თუმცა იმასაც ამბობენ, ჭარბი წონის დამარცხებაში ციტრუსის საღ მდგომარეობაში მიღებაც დაგვეხმარება.

*obsheedelo.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**23 სექტემბერი:** შეეცადეთ, ისე მოიქცეთ, რომ არაფერზე გისაყვედურონ. გარშემომყოფნი თქვენს მიმართ ნეგატიურად იქნებიან განწყობილი და შეეცდებიან, ბევრი რამ დაგაბრალონ.

**კურო 22.04-21.05**
**23 სექტემბერი:** დღეს მხიარული, მოხულიგნო განწყობა დაგეუფლებათ. შეეცადეთ, რამე უსიამოვნებას არ გადაეყაროთ. ნებისმიერი ენერგიის უკეთ გამოყენება შეიძლება.

**ტყუპები 22.05-21.06**
**23 სექტემბერი:** პასუხისმგებლობას იგრძნობთ თითქმის ყველაფერზე, რაც თქვენს გარშემო მოხდება. იმედია, ცუდზე ბევრად მეტ კარგს გაიგებთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**23 სექტემბერი:** კარგი იქნება, თუკი გარშემომყოფთა რჩევებს ყურს მიუგდებთ. მათ შორის, შეიძლება მოულოდნელი იდეა აღმოაჩინოთ.

**ლომი 23.07-22.08**
**23 სექტემბერი:** თუ ვიღაცა გაიძულებთ, სწრაფად იმოქმედოთ, შეეწინააღმდეგეთ. გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც ყველაფერს გაიაზრებთ, მიხვდებით, რა ავანტიურაში გიპირებდნენ ჩათრევას.

**ქალწული 23.08-22.09**
**23 სექტემბერი:** საეჭვოა, დღეს რამე სერიოზული საქმე გამოგივიდეთ. სამაგიეროდ, ნებისმიერის გაცინებასა და გამხიარულებას ადვილად შეძლებთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**23 სექტემბერი:** კითხვას, რომელიც ასე გაწუხებთ, თქვენს მეტი ვერავინ უპასუხებს. და ეს მით უფრო დიდხანს გაგრძელდება, რამდენ ხანსაც პასუხის ძებნას გადაავადებთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**23 სექტემბერი:** არაფრისდიდებით არ გადაუხვიოთ მოქმედებების იმ სქემას, რომელიც დროში გამოცდილი გაქვთ. არც ერთი სიახლე დღეს წარმატებას არ მოგიტანთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**23 სექტემბერი:** შესაძლოა, ცვლილებები არაფერში გჭირდებათ, მაგრამ ისინი მაინც მოხდება. დღეს ერთ-ერთ მათგანს უნდა ელოდოთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**23 სექტემბერი:** სანამ ისეთ რამეს იტყვით, რასაც მომავალში შეიძლება რამე შედეგები მოჰყვეს, კარგად დაფიქრდით. შეიძლება ძალიან დიდი შეცდომა დაუშვათ.

**მერწყული 20.01-18.02**
**23 სექტემბერი:** ძალიან ადვილად აჰყვებით პროვოკაციებს და შეიძლება გარშემო ყველას წაეჩხუბოთ. შეეცადეთ, მოვლენებს იუმორით შეხედოთ, ეს ყველაზე კარგი გამოსავალი იქნება.

**თევზები 19.02-20.03**
**23 სექტემბერი:** ეს დღე როგორც სასიამოვნო, ისე საწყენი მოვლენებით იქნება დატვირთული. ნებისმიერ შემთხვევაში, უმჯობესია, დაგეგმილი საქმეები გადადოთ. რადგან გეგმების შეცვლას ვერ მოასწრებთ.

## სტრესთან გამკლავებაში, ადამიანებს განწყობის მაკონტროლებელი მინიდეტექტორი დაეხმარება



მინიდეტექტორი, სახელწოდებით „ქიუ სენსორი“ ამერიკელმა ფსიქოლოგებმა იმისთვის გამოიგონეს, რომ კონკრეტული მოვლენების მიმართ ადამიანების განწყობის ცვალებადობა დაადგინონ და ამით მომავალში მოსალოდნელი გართულებები აიცილონ.

თავისი ფორმით „ქიუ სენსორი“ მაჯის საათს წააგავს, თუმცა შესაძლებლობებით გაცილებით დახვეწილი და სასარგებლოა. კერძოდ, მინიატურული მოწყობილობა სიცრუის დეტექტორის პრინციპით მუშაობს და ადამიანის კანის დახმარებით ბიოლოგიურ პარამეტრებს აფიქსირებს. მაგალითად, ტენიანობასა და ტემპერატურას.

მოწყობილობა მაჯაზე მაგრდება, თუმცა სურვილის შემთხვევაში, მისთვის ადგილის შეცვლაც უპრობლემოდ შეიძლება. ჩართული „ქიუ სენსორი“ სხეულის ტემპერატურის უმცირეს ცვლილებასაც კი აფიქსირებს, რასაც, თავის მხრივ, განწყობა და შინაგანი ფსიქოლოგიური მდგომარეობა განაპირობებს.

მოწყობილობის კომპაქტურობა შესაძლებელს ხდის, ადამიანის რეაქციების კონტროლი 24 საათის განმავლობაში ხორციელდებოდეს, რისი ლოგიკური შედეგიც ერთგვარი „ემოციური კალენდრის“ შედგენაა.



სპეციალისტების განმარტებით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან დაზუსტებით დადგინდება, კონკრეტულად რა აღიზიანებს ან რა ამშვიდებს ადამიანს და შესაბამისად, ცხოვრების შემდგომი ნაბიჯების წინასწარ განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

– თუკი ადამიანს ეცოდინება, რა არის მისი ფსიქოლოგიისთვის დამღუპველი და რა იძლევა დადებით შედეგებს, ცხოვრება გაცილებით იოლი გახდება, – მიიჩნევენ „ქიუ სენსორის“ გამომგონებლები და იმედს გამოთქვამენ, რომ მათი მოწყობილობა ძალიან პოპულარული გახდება სამედიცინო სფეროში.

მართალია, „ქიუ სენსორი“ საკმაოდ ძვირადღირებული სიამოვნებაა – მისი ფასი 2 ათასი აშშ დოლარია, თუმცა დანიშნულებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ალბათ, პოპულარობას მართლაც ადვილად მოიხვეჭს.

*hitech.newsru.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მასწავლებელმა გაკვეთილზე მოსწავლეების გამოკითხვა გადაწყვიტა:
– ბავშვებო, მოგვიყევით, სად მუშაობენ თქვენი მამიკოები.
უჩა:
– მამაჩემი ბანკში მუშაობს. ის ძალიან ბევრ ცნობილ ადამიანთან ურთიერთობს. პრეზიდენტსაც კი იცნობს.
ემზარი:
– მამაჩემი სამშენებლო კომპანიაში მუშაობს და ძალიან ბევრ ლამაზ შენობას აშენებს.
კოტე:
– მამაჩემი გეი-კლუბში სტრიპტიზს ცეკვავს!..
შეშფოთებულმა მასწავლებელმა გამოკითხვა შეწყვიტა, შესვენებაზე კი კოტე გვერდზე გაიხმო და ჰკითხა:
– კოტიკო, წეღან მართალი თქვი მამაშენის სამუშაო ადგილზე?
– აბა, რა მექნა, მასწ, იმას როგორ ვიტყოდი, მამაჩემი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი როა?!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*


შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია
» 211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაძპაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი



**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“** საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.



ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: ააადგილაპი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.40